



ახალი განათლება

№34 (588) გაგონის 1998 წლიდან

www.axaliganatleba.ge



გაეროს გაკვრითა
ფონდის რეკომენდაციები
ახალ მთავრობას

გვერდი 4-5

ინფორმაცია

მოსწავლეები
თავიანთი ინვესტიციისა
და უფლებების დასაცავად
ერთიანდებიან

გვერდი 6

მწერლის პრეზიდენტი

ცხოვრება აზრით
და გრძნობით

გვერდი 7

ავტობიოგრაფია

ფიზიკის პედაგოგთა
დასახელებულად

გვერდი 8

იურიისტიკის კონსულტაცია

პედაგოგთა შეკითხვებს
პასუხობს სპონს-ს იურიისტი
თაგარ ავალიანი

გვერდი 9



გიორგი მარგველაშვილი:
„სკოლა მინი-სოციალიზაციაა. ამ სოციალიზაციაში
მოსწავლეებმა, პედაგოგებთან ერთად,
უნდა მოახერხონ თანაცხოვრების
ანგარიშები და ვალდებულება
ასეთი თანაცხოვრების ანგარიშზე,
მიგვაჩინია, რომ არის
საზოგადოებრივი, მშობლებზე,
ალმონათმშენებელთა კოლექტივზე.“



ალუდა გომელიძე:
„ჩვენი ამოცანაა, სკოლის ცხოვრებაში
არსებული ესა თუ ის პრობლემა
გავხადოთ საზოგადოების განსჯის
საგანი. ვფიქრობთ, რომ რეგულირება,
რომელიც შესაძლებელია ხდის მესამე
საფეხურიდან მოსწავლის გარიცხვას,
თუ ამას არ აქვს სათანადო
მედიანობები, სათანადო პროცედურები,
კარგად გააზრებული პოლიტიკა და
არ არის სიღრმისეულად გოლომდე
ჩამოყალიბებული შეიქმნება,
რაც შეშინებულნი
განდებს მანიპულირების საგანი.“

გვერდი 3



გთავაზობთ ტესტების კრებულს ქართულ ლიტერატურაში,
რომელიც ითვალისწინებს 2012 წლის საატესტატო გამოცდის მოთხოვნებს



წიგნი I – **ქველი ქართული მწერლობა;**
წიგნი II – „**ვეფხისტყაოსანი**“;
წიგნი III – **XIX საუკუნის მწერლობა.**

ავტორები:
თამარ გელიტაშვილი,
ამირან გომართელი

თითოეული კრებულის ფასი – 10 ლარი

- ◆ კრებულებში ნახვით თითქმის ყველა საკვანძო კითხვა-პასუხს საგამოცდოდ გათვალისწინებული ნაწარმოებებიდან;
- ◆ მათი მეშვეობით გაგიაღვივდებათ საპროგრამო ტექსტების ზედმიწევნით ათვისება-შესწავლა;
- ◆ სწორი პასუხების შემოსაზრის შედეგად თქვენ გაქვებთ ნაწარმოებთა იდეურ-მხატვრული ანალიზი;
- ◆ თქვენ შექვებთ დაქლით ყველა საგამოცდო სირთულე.

კრებულების შეკენის მსურველები დაგვიკავშირდით „ახალი განათლება“ რედაქციაში: 295-80-23, 790 95-80-23, 577 13-22-83

სახიზვილის სასწავლო უნივერსიტეტი

2012 წლის 15 ნოემბრიდან ახსადებს ღია კონკურსს უნივერსიტეტში სრული, ასოცირებული და ასისტენტ-პროფესორების აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად

კონკურსი ცხადდება უნივერსიტეტის საზოგადოებრივ მეცნიერებათა ფაკულტეტის:

ა) სამართლის მიმართულებების – საჯარო, კერძო და სისხლის სამართლის სპეციალობებზე შემდეგი ვაკანსიებით: სრული პროფესორი – 1 ადგილი; ასოცირებული პროფესორი – 3 ადგილი; ასისტენტ-პროფესორი – 2 ადგილი.

ბ) აგრარულ მეცნიერებათა მიმართულების სატყეო საქმის სპეციალობებზე: სრული პროფესორი – 1 ვაკანტური ადგილი; ასოცირებული პროფესორი – 1 ვაკანტური ადგილი.

სრულ პროფესორად შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს სამეცნიერო პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება.

ასოცირებულ პროფესორად შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება.

ასისტენტ-პროფესორად შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორი ან დოქტორანტი.

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად კონკურსანტმა უნდა წარმოადგინოს:

ა) წერილობითი განცხადება რექტორის სახელზე;

ბ) პირადობის დამადასტურებელი საბუთი; გ) ავტობიოგრაფია (CV); დ) განათლებისა და აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტები, დედნების ან სანოტარო წესით დამონებული ქსეროასლების სახით;

ე) სამეცნიერო-პედაგოგიური გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი.

საკონკურსო კომისიის მოთხოვნის შემთხვევაში, კონკურსანტმა დამატებით უნდა წარმოადგინოს:

ა) მის მიერ გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების ნუსხა;

ბ) სალექციო კურსების ჩამონათვალი (სილაბუსებით);

გ) ბოლო წლებში შესრულებული ერთ-ერთი სამეცნიერო ნაშრომი, რომელიც წარმოადგენს კონკურსანტის პრიორიტეტს; დ) ინფორმაცია ბოლო სამი წლის განმავლობაში მისი ხელმძღვანელობით განხორციელებული საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების განხორციელების შესახებ;

ე) ლოკალურ და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობის შესახებ ინფორმაცია, დამადასტურებელი დოკუმენტებით;

ვ) კომპიუტერული პროგრამების ცოდნის დამადასტურებელი ცნობა.

აკადემიურ თანამდებობაზე შესარჩევი კანდიდატების რეიტინგული შეფასების კრიტერიუმებია:

- ა) აკადემიური ხარისხი;
- ბ) პედაგოგიური და სამეცნიერო გამოცდილების სტაჟი;
- გ) ბოლო წლებში გამოქვეყნებული სტატიები, მონოგრაფიები და სახელმძღვანელოები;
- დ) საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელობა;
- ე) ბოლო წლებში სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა;
- ვ) კვალიფიკაციები.

საკონკურსო განაცხადებისა და საბუთების მიღება ინარჩუნებს უნივერსიტეტის კანცელარიაში, 2012 წლის 17 დეკემბრიდან 21 დეკემბრის ჩათვლით, დილის 10 საათიდან 17 საათამდე.

კონკურსი ჩატარდება 2012 წლის 28 დეკემბერს, უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში – ძ. გორი, ცხინვალის გზ. №9. ტელ: 27 05 57

დაწვრილებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია უნივერსიტეტის საკონკურსო კომისიაში.

სახიზვილის სასწავლო უნივერსიტეტის საკონკურსო კომისია

ინფორმაცია



საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა გიორგი მარგველაშვილმა საჯარო სკოლების მოსწავლეებს მიმართა ჩაერთონ სამინისტროს სკოლის მანდატურის სამსახურის მიერ ორგანიზებულ წამახალისებელ კონკურსში და დახატონ სკოლის მანდატურის ახალი, მათთვის სასურველი უნიფორმის ესკიზები. კონკურსი 12 ნოემბერს გამოცხადდება და 26 ნოემბრამდე გასტანს. კონკურსში მონაწილეობა, საქართველოს მასშტაბით, ყველა საჯარო სკოლის მოსწავლეს შეეძლება. ესკიზების წარმოდგენა მოსწავლეებს საკუთარ სკოლებში ან მანდატურის სამსახურის ცენტრალურ ოფისში შეუძლიათ, მისამართზე: ალექსიძის ქ. №1.

გამოცდების ეროვნული ცენტრის დირექტორმა მაია მიმინოშვილმა განათლების საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან და განათლების ექსპერტებთან სამუშაო შეხვედრა გამართა.

მაია მიმინოშვილმა შეხვედრაზე ყოველ მათგანთან მჭიდრო თანამშრომლობის სურვილი გამოთქვა. ასევე აღნიშნა, რომ გაითვალისწინებს მათ რეკომენდაციებს გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ განხორციელებულ ყველა პროექტთან დაკავშირებით და წინასწარ გააცნობს დაინტერესებულ არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს გამოცდებთან დაკავშირებულ ნებისმიერ სიახლეს.

ცენტრის დირექტორმა შეხვედრაზე იმ სიახლეებზეც ისაუბრა, რომელიც გამოსაშვები გამოცდების ჩატარებაში დაგეგმილი და ამ საკითხთან დაკავშირებით ყველა აქტიულურ შეკითხვას გასცა პასუხი.



პოლონეთის დელეგაციის ვიზიტი

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელი პოლონელ სტუმრებს შეხვდა. პოლონეთის განათლების განვითარების ცენტრის დირექტორმა ქართველ კოლეგებთან რამდენიმე საკითხი განიხილა, მათ შორის: ორმხრივი თანამშრომლობა, პოლონეთის განათლების განვითარების ცენტრის ფუნქციები და სხვ. ქართულმა მხარემ პოლონელი კოლეგებისგან კონკრეტული შეთავაზებებიც მიიღო.

პოლონეთის განათლების განვითარების ცენტრი ახორციელებს პროექტს „ისინი ჩვენთან არიან“, რომელიც ინკლუზიური განათ-

ება, რომლის სახელწოდებაც იყო „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვის ადგილი საგანმანათლებლო სისტემაში“ პოლონეთის განათლების განვითარების ცენტრის ორგანიზებით ჩატარდა და მას თბილისისა და საქართველოს სხვადასხვა რეგიონების 30-მდე სკოლის მასწავლებელი ესწრებოდა. კონფერენციაზე განიხილეს ისეთი საკითხები, როგორცაა: სპეციალური და ინკლუზიური განათლების პოლონური სისტემა, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე ბავშვების შეფასების სისტემა, სასწავლო პროგრამების შემუშავება და სხვ. კონფერენცია მასწავლებელთა პროფესიული გან-



ლებს ხელშეწყობას გულისხმობს. პროექტის პარტნიორია მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, სადაც ინკლუზიური განათლების სტრატეგიებსა და ამ მიმართულებით სკოლების მომზადებაზე ტრენინგები ტარდება. 6-7 ნოემბერს, მასწავლებლის სახლში, ორდღიანი კონფერენცია გაიხსნა. ღონისძი-

ვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორმა გააუმჯობესებლად გახსნა. კონფერენცია პოლონური პროექტის „ისინი ჩვენს შორის არიან“ ფარგლებში ჩატარდა, რომელიც ინკლუზიური განათლების ხელშეწყობას გულისხმობს. პროექტის პარტნიორია მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი.

აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტრო იუნება, რომ 84 წლის ასაკში გარდაიცვალა აფხაზეთისა და საქართველოს დამსახურებული პედაგოგი, მეთოდისტი-მასწავლებელი **მარო ლაშხია** და სამძიმარს უცხადებს ოჯახს.

ინფორმაცია

ბაირისცხეზიან თუ არა დისციპლინარული პროცესების მქონე მოსწავლეები სკოლიდან

მაკა ყიფინაძე

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა, გიორგი მარგველაშვილმა საზოგადოებას კიდევ ერთი ახალი ინიციატივა გააცნო, რომელიც X-XII კლასის მოსწავლეთა სკოლიდან გარიცხვას უკავშირდება. შეგახსენებთ, რომ დღევანდელი კანონმდებლობით, I-IX კლასის ჩათვლით, სკოლას მოსწავლის გარიცხვის უფლება არ ჰქონდა. ახალი ინიციატივით კი, ეს უფლება სკოლის ადმინისტრაციას XII კლასის ჩათვლით შეეზღუდება.

განათლების მინისტრი საზოგადოებას ამ პრობლემური საკითხის გადასაჭრელად მსჯელობასა და დისკუსიების გამართვას სთავაზობს. იმ შემთხვევაში, თუ მოქალაქეები, სამინისტროს ინიციატივას მოიწონებენ, საჯარო სკოლიდან მოსწავლის გარიცხვის პროცედურა გაუქმდება.

ჟურნალისტებისათვის გამართულ ბრიფინგზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილემ, ალუდა გოგლინიძემ განაცხადა: „ჩვენ ვფიქრობთ, რომ სკოლა სააღმზრდელო დანერგვების არა მარტო მე-9 კლასამდე, არამედ მე-12 კლასის ჩათვლით. გარკვეულ შემთხვევაში სკოლიდან მოსწავლეების გარიცხვის სამართლებრივი ნორმა, მათი სკოლიდან განთავსების, სეგრეგაციისა და მანიპულირების ინსტრუმენტია. საზოგადოებამ უნდა დაინიშნოს ფიქრი, როგორ შეიძლება სკოლამ სრულფასოვნად შეასრულოს თავისი ერთ-ერთი ძირითადი დანიშნულება - სააღმზრდელო ფუნქცია“.

მინისტრის განმარტებით, სკოლებში დისციპლინის პრობლემა, ხშირ შემთხვევაში, ფსიქოლოგიურ ფაქტორებზე დამოკიდებულია, ამიტომ ერთ-ერთი ალტერნატივა ამ კუთხით შესაძლოა, სწორედ ფსიქოლოგიური სამსახურების ფორმირება გახდეს.

„ჩვენ ვვსჯით, საზოგადოებამ, განსაკუთრებით მშობლებმა, მიიღონ გადაწყვეტილება, რა შედეგები უნდა არსებობდეს იმის-

თვის, რომ მოსწავლის დისციპლინარული პრობლემები სკოლაშივე მოგვარდეს და არ მოხდეს პრობლემისგან გაქცევისა და გადაადგილების ფაქტები.“ - აცხადებს მინისტრი და თხოვნით მიმართავს საჯარო სკოლებს, პედაგოგებს, ფსიქოლოგებსა და ექსპერტებს, გამოეხმაურონ სამინისტროს ინიციატივას და პრობლემის გადაჭრასთან დაკავშირებით, საკუთარი ხედვა ორი კვირის ვადაში წერილობით წარმოადგინონ. მისივე განცხადებით, შესაბამის კანონში ცვლილებები კონსულტაციების დასრულებისთანავე შევა.

გიორგი მარგველაშვილი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი: ჩვენი ურთიერთობა საზოგადოებასთან ინტენსიურად გრძელდება. დღეს, გვინდა საზოგადოების სამსჯავროზე გავიტანოთ კიდევ ერთი ახალი შეხედულება და ამ საკითხის განხილვაში მოველით აქტიურ ჩართულობას როგორც მედიისგან, ასევე ექსპერტებისგან, მასწავლებლებისგან და პროფესორებისგან. საკითხი ეხება კანონის რეგულირებას, რომლის მიხედვითაც, მეცხრე კლასის ჩათვლით, საჯარო სკოლებში მოსწავლის გარიცხვის პროცედურა აკრძალული გვაქვს. გვინდა ეს რეგულირება გავზარდოთ მეთორმეტე კლასის ჩათვლით. მიზეზი მდგომარეობს შემდეგში: არ მიგვაჩნია, რომ გარიცხვა არის პედაგოგიური ქმედება, რომელიც რაღაც პოზიტიურს იწვევს ალბრდის თვალსაზრისით. სკოლა მინი-სოციუმია. ამ სოციუმში მოსწავლემ, პედაგოგებთან ერთად, უნდა მოახერხოს თანაცხოვრების აწყობა და ვალდებულება ასეთი თანაცხოვრების აწყობაზე, მიგვაჩნია, რომ არის საზოგადოებაზე, მშობლებზე, აღმზრდელობით კოლექტივზე. ვიცით, რომ ამ მიმართულებით არსებობს პრობლემები და ეს იხმარება ერთ-ერთ დისციპლინარულ ზომად ისეთი მოსწავლეების დასასჯელად, რომლებიც არ ექვემდებარებიან დისციპლინარულ ზემოქმედებას. ჩვენი იდეაა, შევთავაზოთ საზოგადოებას ფსიქოლოგიური სამსახურები, რომ-

ლებიც ასეთ მოსწავლეებს (სკოლას, მშობლებს, პედაგოგებს) კლასიდან მოწვევების გარეშე დაეხმარებიან, რომ მათი ინტეგრაცია მოხდეს კლასის ფარგლებში.

ეს არის ჩვენი შეხედულება, რომელსაც ვანვით ჩვენს კოლეგებს. მოველით, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით საჯარო სკოლებში ჩატარდება პედაგოგიკური შეხვედრები, ისინი გააკეთებენ თავიანთ დასკვნას და ორი კვირის მანძილზე, დაახლოებით ერთი გვერდის ფარგლებში, მოგვწერენ თავიანთ არგუმენტებს ამ ინიციატივის მხარდასაჭერად, ჩასასწორებლად ან უარსაყოფად. ველით თქვენს გამოხმაურებას. მე კიდევ ერთხელ ვთხოვ მედიას, თუ შესაძლებლობა იქნება, ამ საკითხზე დისკუსიის მიზნით გაუხსნათ თეთრი ჩვენს ექსპერტებს, მასწავლებლებს, მშობლებს, რომ მათ გამოთქვან თავიანთი აზრი და მომავალი ცვლილება, რომელსაც, შესაძლოა, თქვენთან ერთად გავატარებთ ამ მიმართულებით, იყოს ფართო განხილვის საკითხი.

ალუდა გოგლინიძე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე: ჩვენი ამოცანაა, სკოლის ცხოვრებაში არსებული ესა თუ ის პრობლემა გავხადოთ საზოგადოების განსჯის საგანი. ვფიქრობთ, რომ რეგულირება, რომელიც შესაძლებელს ხდის მესამე საფეხურიდან მოსწავლის გარიცხვას, თუ ამას არ აქვს სათანადო მექანიზმები, სათანადო პროცედურები, კარგად გააზრებული პოლიტიკა და არ არის სიღრმისულად ბლომდენი ჩამოყალიბებული შეიძ-

ლება, რიგ შემთხვევებში, გახდეს მანიპულირების საგანი, მოსწავლეების განთავსების საგანი და სეგრეგაციის საფუძველი. ამიტომ, მიგვაჩნია, რომ საზოგადოებამ უნდა დაინიშნოს ფიქრი, როგორ შეიძლება სკოლამ სრულფასოვნად შეასრულოს თავისი ერთ-ერთი ძირითადი დანიშნულება - სააღმზრდელო ფუნქცია, რას ვაკეთებთ იმ მოსწავლეებთან, რომლებიც არღვევენ დისციპლინას, ან არ გამოიჩინებენ ორდინალური ქცევებით. ბუნებრივია, მექანიზმი უნდა იყოს ისეთი, რომელიც მოგვცემს საშუალებას კონკრეტულად, კვალიფიცირებულად გავარკვიოთ, რაში მდგომარეობს პრობლემა - ეს არის წმინდა დისციპლინური ხასიათის ქმედება, ეს არის მოსწავლეების გარკვეული პროტესტი, დაფუძვით უხარისხო სწავლების მიმართ, თუ ეს არის წმინდა ბიოლოგიურ-ფსიქოლოგიური თემები, რომლებიც სხვა ტიპის ინტერვენციას საჭიროებს. დღევანდელი სკოლა ასეთ მექანიზმებს, მართვის ტექნოლოგიებს, ჩვენი აზრით, მოკლებულია. ამიტომ გვინდა, საზოგადოების სამსჯავროზე გამოვიტანოთ ეს თემა. პარალელურად, ბუნებრივია, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო იწყებს მუშაობას, როგორ მოხდეს ამ საკითხის გადაწყვეტა უფრო კვალიფიცირებულად. ჩვენ არ ვაპირებთ ერთი ხელის მოსმით რაღაცის შეცვლას, მაგრამ პრაქტიკიდან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს საკანონმდებლო ჩანაწერი არ მიგვაჩნია სააღმზრდელო პოლიტიკის გატარების სრულყოფილ ინსტრუმენტად.

რედაქციისგან

მისასალმებელია, რომ განათლების სამინისტრო პრობლემატური საკითხის გადაწყვეტილების საზოგადოებასთან დისკუსიას იწყებს. ჩვენი გაზეით სიამოვნებით დაუთმობს ადგილს ნებისმიერ მსურველს - პედაგოგებს, მშობლებს, ფსიქოლოგებს, ახალგაზრდობის აღზრდის პრობლემატკასთან დაკავშირებულ ყველა ადამიანს. იმედი, თქვენი არგუმენტირებული მოსაზრებები დახმარებას გაუწევს სამინისტროს ახალ შემადგენლობას სწორი გადაწყვეტილების მიღებაში.
ველით თქვენს გამოხმაურებას.

კონკურსი უფროსკლასელთათვის „გაიგე მეტი შენი კუთხის არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო და გაზეთი „ახალი განათლება“ აცხადებენ ერთობლივ კონკურსს თემაზე „გაიგე მეტი შენი კუთხის არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“

კონკურსის მიზანია: გამოავლინოს საქართველოს სხვადასხვა კუთხისათვის დამახასიათებელი არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ელემენტები და გაზარდოს საზოგადოების, განსაკუთრებით ახალგაზრდობის ინტერესი არამატერიალური საბანაშორის დაცვისათვის.

კონკურსის განმარტება ორ ტურად:
პირველი ტური
ქართული ენისა და ლიტერატურის, ისტორიის, ხელოვნების ან სხვა კვლევის დახმარებითა და ხელმძღვანელობით სკოლაში მოეწყობა შიდა სასკოლო შიდა, რომლის დროსაც მოსწავლეებმა, შემოთავაზებული გაგების მიხედვით, თავად უნდა შეარჩიონ და წარმოადგინონ მათი კუთხისათვის (სოფლისათვის, ქალაქისათვის, ოჯახისათვის, გვარისათვის, ჭრისათვის, სკოლისათვის და ა.შ.) დამახასიათებელი, მნიშვნელოვანი არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშის აღწერა. სკოლის შიგნით შიდა ტურის საუკეთესო, ერთი ან რამდენიმე ნიმუში სკოლაში უნდა გადმოგზავნოს გაზეთი „ახალი განათლება“ რედაქციაში (axaliganatleba@gmail.com). წერილებს, გაზეთის რედაქციასთან ერთად, განიხილავან არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის შესახებ. **გადგომის ვადაა 15 დეკემბერი.**

საინტერესო წინადადებათა მოწოდებას მიიღებენ მთელი ტურის განმარტების მიხედვით და ლიტერატურის, ისტორიის, ხელოვნების ან სხვა კვლევის დახმარებითა და ხელმძღვანელობით სკოლაში მოეწყობა შიდა სასკოლო შიდა, რომლის დროსაც მოსწავლეებმა, შემოთავაზებული გაგების მიხედვით, თავად უნდა შეარჩიონ და წარმოადგინონ მათი კუთხისათვის (სოფლისათვის, ქალაქისათვის, ოჯახისათვის, გვარისათვის, ჭრისათვის, სკოლისათვის და ა.შ.) დამახასიათებელი, მნიშვნელოვანი არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშის აღწერა. სკოლის შიგნით შიდა ტურის საუკეთესო, ერთი ან რამდენიმე ნიმუში სკოლაში უნდა გადმოგზავნოს გაზეთი „ახალი განათლება“ რედაქციაში (axaliganatleba@gmail.com). წერილებს, გაზეთის რედაქციასთან ერთად, განიხილავან არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის შესახებ. **გადგომის ვადაა 15 დეკემბერი.**

საინტერესო წინადადებათა მოწოდებას მიიღებენ მთელი ტურის განმარტების მიხედვით და ლიტერატურის, ისტორიის, ხელოვნების ან სხვა კვლევის დახმარებითა და ხელმძღვანელობით სკოლაში მოეწყობა შიდა სასკოლო შიდა, რომლის დროსაც მოსწავლეებმა, შემოთავაზებული გაგების მიხედვით, თავად უნდა შეარჩიონ და წარმოადგინონ მათი კუთხისათვის (სოფლისათვის, ქალაქისათვის, ოჯახისათვის, გვარისათვის, ჭრისათვის, სკოლისათვის და ა.შ.) დამახასიათებელი, მნიშვნელოვანი არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშის აღწერა. სკოლის შიგნით შიდა ტურის საუკეთესო, ერთი ან რამდენიმე ნიმუში სკოლაში უნდა გადმოგზავნოს გაზეთი „ახალი განათლება“ რედაქციაში (axaliganatleba@gmail.com). წერილებს, გაზეთის რედაქციასთან ერთად, განიხილავან არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის შესახებ. **გადგომის ვადაა 15 დეკემბერი.**

გვეკონტაქტით: სამუშაო დღეებში - (32)298-39-24, 13.00-15.00სთ ან 599 62 34 99; aramaterialuri@yahoo.com
გაიგე მეტი არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის შესახებ - იხ. „ახალი განათლება“ №30

„ახალ განათლებაში“.
საკონკურსო ნიმუშის წარდგინის ფორმა:
1. არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ნიმუში - დასახელება
2. იღივს ავტორი - სახელი, გვარი
3. ხელმძღვანელი კვლევი -
4. ქალაქი (რაიონი, სოფელი), სკოლის სრული დასახელება -
5. სკოლის დირექტორი -
6. არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშის სხვა დასახელება (რამდენიმე დასახელების შემთხვევაში, მიუთითეთ ყველა სათაური და გაუკეთეთ კომენტარი) -
7. არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშის მოკლე აღწერა
მოკლე აღწერისათვის უახუსეთი შეფუთვა ითვლება:
◆ რას გულისხმობს თქვენ მიერ შიდა ტურის არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ნიმუში - მოკლე განმარტება ნიმუშის შესახებ - 5-6 წინადადება.
◆ მიუთითეთ ნიმუშის დანიშნულება.
◆ რა საშუალებით გამოიყენება ეს ნიმუში პრაქტიკაში - საჭირო მასალა (ქვა, ქაფი, ხე, მატერია, მეტალი, საკვები პროდუქტი და ა.შ.), მონაწილეების რაოდენობა (დღისასწავლი, საბავშვო, ლოგო, ლოგო, რიტუალი, წესი და ა.შ.), მონაწილეთა პროფესია (ხევისსამართი, მძარბავი, ხელო, მხარეული და ა.შ.), შესაბამისი ამინდი, წელიწადის დრო, გარემო პირობები ან სხვა ისეთი პირობები, რომელიც აუცილებელია აღნიშნული ნიმუშის შესასრულებლად.
◆ რა როლი ინიჭება თქვენ მიერ შიდა ტურის საზოგადოების კულტურულ, ან საბავშვო, ან რაიმე, ან ყოველდღიურ ცხოვრებაში. დაახლოებით თქვენ მიერ შემოთავაზებული ნიმუშის მნიშვნელობა (უნიკალურობა ან ორიგინალურობა) პირადად თქვენთვის (ოჯახისთვის, სკოლისთვის, სოფლისთვის...) და საზოგადოებისთვის (5-6 წინადადება).
სასურველია, სიტყვების საერთო რაოდენობა არ აღემატებოდეს 200 სიტყვას.



ბაეროს ბავშვთა ფონდის (იუნისეფის) რეკომენდაციები ახალ მთავრობას ბავშვთა უფლებების დაცვა საქართველოში ქართული ოცნების საარჩევნო პროგრამის მიმოხილვის საფუძველზე

თბილისი, 14 ნოემბერი, 2012წ.

ახალი სამთავრობო პროგრამა ითვალისწინებს მნიშვნელოვან პოლიტიკურ ინტერვენციებს საქართველოში ბავშვთა უფლებების რეალიზებისათვის. ოცნელზე მეტია, გაეროს ბავშვთა ფონდი საქართველოს მთავრობას ეხმარება სოციალური პოლიტიკისა და პროგრამირების გაუმჯობესების საქმეში, მსოფლიოს საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით; საჭირო კონსულტაციას უწევს იმ უწყებებს, რომლებიც პასუხისმგებელი არიან პოლიტიკის შემუშავებაზე. გაეროს ბავშვთა ფონდი სარგებლობს ამ შესაძლებლობით და კვლავ იღებს ვალდებულებას, დაეხმაროს საქართველოს მთავრობას ყველაზე დაუცველი მოსახლეობის კეთილდღეობის გაუმჯობესების საქმეში. ინვესტიცია ბავშვებსა და ახალგაზრდებს არის ინვესტიცია საქართველოს მომავალში. წინამდებარე დოკუმენტში განხილულია ქართული ოცნების საარჩევნო პროგრამის ის ნაწილები, რომლებიც ეხება ბავშვთა უფლებების დაცვას საქართველოში და წარმოდგენილია კონკრეტული რეკომენდაციები. გაეროს ბავშვთა ფონდს მიაჩნია, რომ მნიშვნელოვანი პროგრესის მიღწევა საკვებით შესაძლებელია შემდეგ სფეროებში:

◆ **ბავშვისადმი კეთილგანწყობილი მართლმსაჯულების სისტემის შექმნა** – როგორც პროცესუალური, ისე გარემოს თვალსაზრისით, ბავშვისადმი კეთილგანწყობილი სასამართლოების შექმნა აუცილებელია ბავშვთა ქვეყნის ინტერესების დასაცავად მართლმსაჯულების სისტემისთან შეხებისას. სპეციალიზებული სასამართლოებთან ერთად, აუცილებელია სპეციალიზებული პროფესიონალური კადრები. პატიმრობის, როგორც უკიდურესი ზომის და მაქსიმალურად მოკლე ვადით გამოყენება სრულად უნდა აისახოს სამართლებრივ სისტემაში და დამკვიდრდეს პრაქტიკაში.

◆ **ინვესტირება საქართველოს მომავალში ადრეულ ასაკში განათლების ხელშეწყობის გზით** – მსოფლიოს მასშტაბით ჩატარებული კვლევები ადასტურებს – ადრეულ ასაკში განათლების ინვესტიციას ყველაზე დიდი ეკონომიკური და სოციალური სარგებელი მოაქვს. საქართველოში სკოლამდელი განათლების საყოველთაო ხელმისაწვდომობის და მაღალი ხარისხის უზრუნველყოფა საჭიროებს დამატებით ფინანსურ ინვესტიციებს, კოორდინაციას განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხრიდან და დეცენტრალიზებულ მიდგომას.

◆ **ჯანდაცვის თანასწორი, ხარისხიანი, საბაზისო მომსახურების ხელმისაწვდომობა** – ჯანდაცვის უნივერსალური საბაზისო მომსახურების გაფართოება მნიშვნელოვანია ბავშვებისა და მათი ოჯახებისათვის. საბაზისო მომსახურების პაკეტის საჯარო დაფინანსებაზე გადასვლა უნდა მოხდეს მას შემდეგ, რაც შემუშავდება დეტალური გეგმა წარსული გამოცდილების გათვალისწინებით. გარდა ამისა, პროცესის შესაბამისი წარმართვისათვის საჯარო სექტორმა უნდა განვიტაროს ისეთი კონკრეტული უნარები, როგორებიცაა: რეგულირება, საინფორმაციო სისტემები, ხარჯების განსაზღვრა და გადახდა.

◆ **ყველაზე ღარიბი ბავშვიანი ოჯახებისათვის დახმარების გაფართოება** – საქართველოში ჩატარებული კვლევები ცხადყოფს, რომ ბავშვიანი შინამეურნეობები უფრო მაღალი ალბათობით არიან ღარიბი და ნაკლები ალბათობით სარგებლობენ მიზნობრივი სოციალური დახმარებით. განსაკუთრებულ რეკომენდაციას ვუწვევთ ბავშვთა საყოველთაო გრანტის შემოღებას, რომელიც მნიშვნელოვნად შეამცირებდა ბავშვთა სიღარიბეს. ოჯახის დახმარების მომსახურების გაფართოება, როგორცაა უფასო ან დაბალფასიანი დღის ცენტრები, აუცილებელია ოჯახების რღვევის პრევენციისა და ბავშვთა განვითარების ხელშეწყობისათვის.

◆ **ახალგაზრდების განვითარების ხელშეწყობა** – ახალგაზრდები საქართველოში დემოკრატიული ცვლილებების მამოძრავებელი ძალაა. თუმცა, ისეთი მნიშვნელოვანი გამოწვევები, რომლებსაც ისინი აწყდებიან ბავშვობიდან ზრდასრულ ასაკში გადასვლისას და როგორცაა ახალგაზრდების უმუშევრობა, რეპროდუქციული ჯანმრთელობა, ნარკოტიკების მოხმარება, უმალესი განათლების ხელმისაწვდომობა და გენდერული ძალადობა, ჯერ კიდევ არ არის სისტემურ დონეზე მოგვარებული. აუცილებელია ახალგაზრდების განვითარების სახელმწიფო ხედვისა და სტრატეგიის განსაზღვრა.



ბა – ახალგაზრდები საქართველოში დემოკრატიული ცვლილებების მამოძრავებელი ძალაა. თუმცა, ისეთი მნიშვნელოვანი გამოწვევები, რომლებსაც ისინი აწყდებიან ბავშვობიდან ზრდასრულ ასაკში გადასვლისას და როგორცაა ახალგაზრდების უმუშევრობა, რეპროდუქციული ჯანმრთელობა, ნარკოტიკების მოხმარება, უმალესი განათლების ხელმისაწვდომობა და გენდერული ძალადობა, ჯერ კიდევ არ არის სისტემურ დონეზე მოგვარებული. აუცილებელია ახალგაზრდების განვითარების სახელმწიფო ხედვისა და სტრატეგიის განსაზღვრა.

1. ბავშვზე ზრუნვა

ქართული ოცნების საარჩევნო პროგრამა:

„განვითარების ახალი სტრატეგია, რომელსაც ჩვენ ვთავაზობთ საზოგადოებას, ითვალისწინებს ოჯახის როლის გააქტიურებას... გაორმაგდება უკიდურესად გაჭირვებულთათვის სოციალური დახმარების ოდენობა; გაიზარდება დახმარების მიმღებთა რაოდენობა.“

„სოციალური მომსახურების მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილი იქნება სპეციალიზებული დაწესებულებები – მზრუნველობა-მოკლებულ ბავშვთა, მოხუცებულთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სახლები და დღის სტაციონარები, აგრეთვე სხვა სპეციალიზებული დაწესებულებები... სოციალური მომსახურების დაწესებულებათა ქსელის განვითარება დაეწყება გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის პრინციპს. მათი დაფინანსებისა და ადმინისტრირების ფუნქცია, როგორც ექსკლუზიური უფლებამოსილება, გადაეცემა რეგიონული და მუნიციპალურ ხელისუფლებას.“

გაეროს ბავშვთა ფონდის რეკომენდაციები:

– დღის ცენტრებისა და ადრეული ინტერვენციის მომსახურების პოპულარიზაცია, განსაკუთრებით სპეციალური საჭიროებების მქონე ბავშვიანი ოჯახებისათვის. ადგილობრივ დონეზე მომსახურების რაოდენობისა და სახელმწიფო დაფინანსების გაზრდა.

– ოჯახური გარემოს უზრუნველყოფა ბავშვებისათვის, რომელთაც არ ჰყავთ ოჯახი ან რომლებიც თავიანთ ოჯახში უსაფრთხოდ არ არიან, მინდობით აღზრდისა და მცირე საოჯახო ტიპის ბავშვთა სახლების ჩათვლით.

– თუ ახალი მთავრობა გადაწყვეტს ბავშვზე ზრუნვის მომსახურების დეცენტრალიზაციას, მნიშვნელოვანია უზრუნველყოფილი იქნეს ცოდნის (მათ შორის ბავშვთა მომსახურების) შეუფერხებელი გადაცემა ადგილობრივი წარმომადგენლებისთვის და ისეთი მექანიზმების შექმნა, რომლებიც აღკვეთს რე-

გიონულ უთანასწორობებს. მონაცემთა მართვისა და მონიტორინგის სისტემები უნდა შენარჩუნდეს ცენტრალურ დონეზე. გაეროს ბავშვთა ფონდი დახმარებას სთავაზობს მთავრობას ბავშვზე ზრუნვის შესახებ მონაცემთა ბაზის გაუმჯობესებაში, რათა შესაძლებელი გახდეს ინფორმირებული პოლიტიკის შემუშავება.

– დეინსტიტუციონალიზაციის პროცესის დასრულება მდგრადი და ხარისხიანი მომსახურების შემდგომი განვითარების გზით ისევე, როგორც ქვეყნის მასშტაბით თანმიმდევრული მონიტორინგის სისტემის შექმნა.

– მნიშვნელოვანი ყურადღება უნდა დაეთმოს განსაკუთრებით დაუცველ ბავშვებსა და ახალგაზრდებს, მათ შორის მათ, ვინც სახელმწიფო ზრუნვის დაწესებულებებს ტოვებს, ცხოვრობს და მუშაობს ქუჩაში და ძალადობრივად უგულვებელყოფის მსხვერპლია. კიდევ უფრო დაიხვეწოს და ხელი შეეწყოს ახალ პროგრამებს, რომლებიც ამჟამად მუშავდება მთავრობის მიერ გაეროს ბავშვთა ფონდის მხარდაჭერით, განსაკუთრებით პროგრამებს ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვებისათვის.

– ხარისხიანი სოციალური სამუშაოს სისტემის გაუმჯობესება საჭიროების მქონე და სახელმწიფო მეურვეობის, ან მზრუნველობის ქვეშ მყოფი ბავშვების დასაცავად. სოციალური სამუშაოს შემდგომი განვითარება ყველა სექტორში არსებითია ყველა რეგიონისათვის.

2. მართლმსაჯულება ბავშვებისათვის

ქართული ოცნების საარჩევნო პროგრამა:

„რეგიონულ დონეზე შეიქმნება იუვენალური (არასრულწლოვანთა) სასამართლოები, რომლებიც განიხილავენ პირველი ინსტანციის სასამართლოს შემთხვევებს იუვენალური მართლმსაჯულების საყოველთაოდ აღიარებული პრინციპების სრული დაცვით... რეალურად განხორციელდება სამართლიანი სასჯელის პოლიტიკა, გამოირიცხება დანაშაულთა ერთობლიობისას სასჯელის დანიშნა მხოლოდ შეკრების ნესით და გათვალისწინებული იქნება სამართლიანი სასჯელის დანიშნის საუკეთესო მოდელი... აიკრძალება საპროცესო შეთანხმების დადება არასრულწლოვანთა საქმეებზე და უპირატესობა მიენიჭება აღადგენით მართლმსაჯულებასა და რესოციალიზაციის პოლიტიკის განხორციელებას.“

„განრიდება და/ან შეიქმნება გამოიყენება ნაკლებად მძიმე და მძიმე დანაშაულის ჩამდენი პირის მიმართ არა მხოლოდ პროკურორის, არამედ პოლიციისა და სასამართლოს მიერაც... უზრუნველყოფილი იქნება სასჯელის მოხდის რეჟიმის შესაბამისობა საერთა-

შორისო სტანდარტებთან და ადამიანის უფლებათა სრული დაცვა.“

გაეროს ბავშვთა ფონდის რეკომენდაციები:

– როგორც პროცესუალური, ისე გარემოს თვალსაზრისით ბავშვისადმი კეთილგანწყობილი სასამართლოების შექმნა, რათა დაცული იყოს ბავშვის საუკეთესო ინტერესები მართლმსაჯულების სისტემისთან შეხებისას. სპეციალიზებული სასამართლოებთან ერთად, აუცილებელია სპეციალიზებული პროფესიონალური კადრები. განხილულ უნდა იქნეს არსებულ სისტემებში (პოლიცია, პროკურატურა და იურიდიული დახმარება) ბავშვთა განყოფილებების შექმნის საკითხი.

– მართლმსაჯულების სისტემების მიმართ ერთიანი მიდგომის ხელშეწყობა. მიდგომები მართლმსაჯულების სისტემის შიგნით უნდა ითვალისწინებდეს დანაშაულის ან ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენ პირებს, დაზარალებულებსა და მონაშემს; მათ, ვინც უნდა ისარგებლოს პრევენციული პროგრამებით და მათ, ვინც სამოქალაქო სამართალწარმოებაში მონაწილეობენ.

– პატიმრობის, როგორც უკიდურესი ზომის და მაქსიმალურად მოკლე ვადით გამოყენება სრულად უნდა აისახოს სამართლებრივ სისტემაში და დამკვიდრდეს პრაქტიკაში. განვითარდეს განრიდების პროგრამა და გაფართოვდეს ქვეყნის მასშტაბით.

– გადაინჯოს სასჯელის დაკისრებისა და დანაშაულის კატეგორიზაციის სისტემა, ხელი შეეწყოს ალტერნატიული ღონისძიებებისა და სასჯელის გამოყენებას, გაეროს ბავშვთა ფონდის მიერ ოცნების სამინისტროსათვის 2012 წელს წარდგენილი სისხლის სამართლის კოდექსის ცვლილებების შესახებ რეკომენდაციების შესაბამისად.

– ბავშვთა დაკავების ადგილებში არსებული გარემო და პირობები შესაბამისობაში მოვიდეს საერთაშორისო სტანდარტებთან.

– გააქტიურდეს სოციალური მომსახურების სააგენტოსთან არსებული ბავშვთა დაცვის მექანიზმი სამოქალაქო სამართალწარმოების და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულებისას.

– გაგრძელდეს მთავრობის მიერ ახლო წარსულში მიღებული არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის სტრატეგიის განხორციელება და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის მინიმალურ ასაკს მოუწვევდეს ბავშვთა მიმართ ამოქმედდეს რეფერალისა და რეაგირების გამართული სისტემა.

3. სკოლამდელი აღზრდა

ქართული ოცნების საარჩევნო პროგრამა:

„შეიქმნება სკოლამდელი აღზრდა-განათლების მართვისა და დაფინანსების ეფექტიანი მექანიზმები... გაიზარდება სკოლამდელი აღზრდა-განათლებისათვის, პროფესიული განათლებისა და უმაღლესი განათლებისათვის გამოყოფილი ხარჯები; შესაბამისად, გაიზარდება განათლების ხელმისაწვდომობა ყველა საფეხურზე.“

„სკოლამდელი დაწესებულებებისათვის შემუშავდება და დაინერგება საგანმანათლებლო-სააღმზრდელო გეგმა და პროგრამები; უზრუნველყოფილი იქნება საბავშვო ბაღებში დასაქმებულთა სათანადო კვალიფიკაცია.“

გაეროს ბავშვთა ფონდის რეკომენდაციები:

– სკოლამდელი და ბავშვთა ადრეულ ასაკში განათლების, მათ შორის არაფორმალური სწავლების, დაფინანსების რაოდენობისა და მიზნობრიობის გაუმჯობესება, განსაკუთრებული აქცენტით ღარიბ, სოფლად მცხოვრებ და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებზე.

– განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში სკოლამდელი განათლების განყოფილების შექმნა და დაფინანსება ადგილობრივ დონეზე სკოლამდელი აღზრდის სექტორის რეგულარული მონიტორინგის, შეფასებისა



და ზედამხედველობის მიზნით.

– ყველა მუნიციპალიტეტმა შეიმუშავოს და დაიცვას სტანდარტები, განახორციელოს პროგრამები და სახელმძღვანელო პრინციპები ადრეული ასაკის ბავშვთა განათლებისათვის; შემუშავდეს სტანდარტული ინდიკატორები სკოლამდელი განათლების სექტორისათვის და შეგროვდეს საწარმო ინფორმაცია ანალიზის, დაგეგმვისა და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წინაშე ანგარიშებისათვის.

– ქვეყნის მასშტაბით, სახელმწიფო უნივერსიტეტები სკოლამდელი განათლების სპეციალისტებს სთავაზობდნენ წინასწარი სწავლებისა და პროფესიული განვითარების შესაძლებლობებს.

– გაძლიერდეს და გაფართოვდეს თანამშრომლობა მთავრობასა და კერძო სექტორს შორის, რომელიც მნიშვნელოვანი პარტნიორია ადრეული ასაკის ბავშვთა განათლების სფეროში.

– იმ ბარიერების უკეთ შესწავლა, რომლებიც ხელს უშლის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებს ჩაერთონ სკოლამდელ განათლებაში. მოპოვებული ინფორმაცია ხელს შეუწყობს ეროვნული პოლიტიკის შემუშავებასა და ადგილობრივი ინიციატივების უკეთ დაგეგმვას, უთანასწორობის აღმოფხვრის მიზნით.

4. განათლების ხელმისაწვდომობა

ქართული ოცნების საარჩევნო პროგრამა:

„განათლების უფლების რეალიზაცია ქვეყნის თითოეულ მოქალაქეს მისცემს განვითარების რეალურად თანაბარ შანსს, რაც გააჩნის საზოგადოებაში არსებული უთანასწორობის დაძლევის შესაძლებლობას... ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში, ადგილობრივი თვითმმართველობები უზრუნველყოფენ ქართულ ენაზე სკოლამდელი აღზრდა-განათლების ხელმისაწვდომობას.“

„განხორციელდება შედეგზე ორიენტირებული მიზნობრივი პროგრამები, რომლებიც შექმნიან ხელშესახებ გარანტიებს სპეციალური საჭიროებების მქონე თითოეული ადამიანისათვის განათლების ხელმისაწვდომობისათვის (მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები და ეგრეთ ნოდებული ქუჩის ბავშვები).“

გაეროს ბავშვთა ფონდის რეკომენდაციები:

– გაუმჯობესდეს და კიდევ უფრო დაიხვეწოს ახლად შექმნილი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა, რათა შესაძლებელი გახდეს სწორი და დროული სტატისტიკური ინფორმაციის მოპოვება სკოლის მასწავლებლების, უნივერსიტეტების, სკოლამდელი განათლების მომხმარებლების შესახებ და შესაძლებელი გახდეს განათლების რეფორმის მხარდაჭერა, კონკრეტული პროგრამების განხორციელება და ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღება. შეიქმნას და ხელმისაწვდომი გახდეს ეროვნული სტატისტიკური მონაცემების ბაზა, რამაც ხელი უნდა შეუწყოს ქვეყნის შიგნით საჯარო განხილვებსა და დისკუსიებს და საერთაშორისო შედარებით ანალიზს.

– შეზღუდული შესაძლებლობების მქონე, ეთნიკური უმცირესობებისა და ღარიბი ოჯახების წარმომადგენელი ბავშვებისათვის ხარისხიანი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

– განათლების დამატებითი პროგრამის ამუშავება ქვეყნის მასშტაბით მერჩიულ სკოლებში, რაც შესაძლებლობას მისცემს ყველა მარგინალიზებულ ბავშვს, მათ შორის ქუჩაში მცხოვრებ და მომუშავე ბავშვებს, ისარგებლონ სავალდებულო განათლებით და ჰქონდეთ უსაფრთხო სასწავლო გარემო.

– სპორტისა და ფიზიკური მომზადების სწავლების გაუმჯობესება სკოლებში და მისი ხელმისაწვდომობა ყველა ბავშვისათვის, განსაკუთრებით სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებებისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებისათვის.

– საჯარო სკოლებში წყლის, სანიტარიული და ჰიგიენური პირობების გაუმჯობესებაში ინვესტირება, განსაკუთრებით კონფლიქტით დაზარალებულ რეგიონებში და სოფლად.

– ორენოვანი სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში სოციალური ინტეგრაციის გაუმჯობესებისა და ადრეული ასაკის ბავშვების უკეთ განვითარებისათვის.

5. განათლების ხარისხი

ქართული ოცნების საარჩევნო პროგრამა:

„განათლების ხარისხის განვითარება უზრუნველყოფილი იქნება სამი აუცილებელი

კომპონენტის თანაარსებობით: ა) ეროვნული სასწავლო გეგმა/საგანმანათლებლო პროგრამები (დარგობრივი მახასიათებლები); ბ) პედაგოგიური/აკადემიური/ადმინისტრაციული პერსონალის შესაბამისი კვალიფიკაცია; გ) ხარისხიანი სახელმძღვანელოები... განხორციელდება განათლების სისტემის მიუკერძოებელი ყოველწლიური მონიტორინგი და შეფასება; უზრუნველყოფილი იქნება შესაბამისი დოკუმენტების საჯაროობა... განათლების სისტემის მართვა განხორციელდება თანმიმდევრული და შედეგებზე ორიენტირებული მოკლე, საშუალოდროვანი და გრძელვადიანი სტრატეგიული დაგეგმვის საფუძველზე.“

„განხორციელდება განათლების სისტემის დემოკრატიზება და აღმოფხვრება პოლიტიკური რეჟიმის გავლენა... შეიცვლება მანდატურის ინსტიტუტის შინაარსი; ... შეიქმნება ყველა პირობა, რომ რთული ქვეყნის ბავშვებმა განათლება სკოლაში მიიღონ.“

გაეროს ბავშვთა ფონდის რეკომენდაციები:

– განათლების ხარისხის შემდგომი გაუმჯობესება არსებული სასწავლო პროგრამების გადასინჯვისა და განახლების გზით, რათა პროგრამები შეესაბამებოდეს ბავშვისადმი კეთილგანწყობილი სკოლების პრინციპებს და სხვა საერთაშორისოდ აღიარებული ხარისხის სტანდარტებს.

– მასწავლებელთა გადამზადების, პროფესიული სტანდარტებისა და სისტემების განახლება და მათში სკოლამდელი განათლების სპეციალისტთა გადამზადების პროგრამების ჩართვა.

– რეფორმის შედეგებისა და განათლების მაჩვენებლების სათანადო შეფასება ისეთ საერთაშორისო კვლევებში მონაწილეობით, როგორებიცაა TIMMS, სტუდენტების საერთაშორისო შეფასების პროგრამა (PISA) და სწავლებისა და სწავლის საერთაშორისო კვლევა (TALIS).

– ბავშვისადმი კეთილგანწყობილი პედაგოგიკისა და უსაფრთხო სასკოლო გარემოს ხელშეწყობა გაეროს ბავშვთა ფონდისა და ევროპის საბჭოს ერთობლივი პროგრამის – „სკოლებში ძალადობის შემცირება“ – დანერგვის გზით და სკოლის თანამშრომელთა გადამზადება. შეფასების ისეთი ინსტრუმენტის დანერგვა, რომელიც შესაძლებელს გახდის მოსწავლის/მასწავლებლის მოსწრების, ეთიკურიობისა და ქცევის შეფასებას.

– სკოლებში მანდატურების რაოდენობის შემცირება და ყველა სკოლაში თითო მრჩევლის დამატება. მრჩეველი პასუხისმგებელი იქნება რისკის ქვეშ მყოფი ახალგაზრდებისა და მათი ოჯახების იდენტიფიცირებასა და მათ მიზნობრივ დახმარებაზე, იზრუნებს ბავშვების მიერ სკოლის მიტოვების ფაქტების შემცირებაზე და იქნება საკონტაქტო პირი სოციალური მუშაკებისათვის და სკოლის გარეთ არსებული სხვა სოციალური სამსახურებისათვის.

6. ახალგაზრდები და მოზარდები სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტი:

„გრძელდება დემოკრატიული და ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით, საქართველოს ახალგაზრდობა ქვეყნის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფასეულობაა. ახალგაზრდობის წინაშე არსებულ ბევრი გამოწვევის (მაგალითად, დანაშაულის პრევენცია, არაჯანსაღი ცხოვრების წესი, ახალგაზრდების დასაქმება) დაძლევა შეუძლებელია მხოლოდ ერთი სექტორის მიერ და ამდენად აუცილებელია, ახალგაზრდობის საკითხებზე მომუშავე ფაქტორების ძალისხმევის კოორდინაცია.“

გაეროს ბავშვთა ფონდის რეკომენდაციები:

– სექტორთაშორისი კოორდინაციის მექანიზმის შექმნა ახალგაზრდობის საკითხებზე მომუშავე სამინისტროებს, ადგილობრივ თვითმმართველობებს, ახალგაზრდებს, სამოქალაქო სექტორსა და საერთაშორისო ორგანიზაციებს შორის.

– ახალგაზრდებსა და ადგილობრივ მთავრობებს შორის დიალოგისათვის მექანიზმების შექმნა, რათა განხორციელდეს ახალგაზრდების უფლება, მონაწილეობა მიიღონ ისეთი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, რომლებიც მათ შეეხებათ.

– მონაცემთა რეგულარული შეგროვება და ანალიზი საქსტატის ბაზაზე.

– კონკრეტული სამოქმედო გეგმის შედგენა ყველა ძირითად დაინტერესებულ მხ-

რესთან ერთად 2012 წელს მიღებული სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის განხორციელების მიზნით.

– სისტემური დამცავი მექანიზმების დანერგვა ბავშვთა სპორტში. ბავშვთა მწვრთნელების გადამზადება, რათა თავიდან იქნეს აცილებული მოზარდებისა და ახალგაზრდების დისკრიმინაციის, შეურაცხყოფისა და უგულვებელყოფის შემთხვევები. მოზარდებისა და ახალგაზრდებისათვის სპორტი უნდა იქცეს გართობის, აქტიური ცხოვრებისა და განვითარების საშუალებად.

– გაძლიერდეს პოზიტიური და ინფორმაციული „ჯანსაღი ცხოვრების წესი“ კამპანიები, რაც დაეხმარება ბავშვებსა და მშობლებს ჯანსაღი არჩევანის გაკეთებაში.

7. ჯანდაცვის უნივერსალური საბაზისო მომსახურება

ქართული ოცნების საარჩევნო პროგრამა:

„საქართველოს ყველა მოქალაქე უზრუნველყოფილი იქნება სამედიცინო და ზღვევის უნივერსალური საბაზისო პაკეტით. პაკეტით გათვალისწინებულ სამედიცინო მომსახურებას შეისყიდის არამომგებიანი, საჯარო სამართლის იურიდიული პირი/ფონდი. საბაზისო პაკეტი მოიცავს როგორც დაავადებათა მკურნალობას, ასევე პრევენციას. ხელმისაწვდომი გახდება ხარისხიანი სამედიცინო მომსახურება და მოსახლეობა დაცული იქნება ფინანსური რისკებისაგან.“

გაეროს ბავშვთა ფონდის რეკომენდაციები:

– დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის პრიორიტეტად აღიარება საბაზისო პაკეტის ფარგლებში და შესაბამისად, დედებისა და ბავშვებისათვის ეფექტური და ეფექტიანი სამედიცინო მომსახურების სრულყოფილი ნუსხის განსაზღვრა. ამასთანავე, აღნიშნული სერვისების სწორი ორგანიზება და მეცნიერულ მტკიცებულებებზე დამყარებული კლინიკური მომსახურების სტანდარტებისა და პროტოკოლების შემუშავება და დანერგვა დედათა და ბავშვთა ყველა დონის სამკურნალო დანერგულებებში. არასრულყოფილ კვებასთან, წყლის ხარისხსა და სანიტარიულ-ჰიგიენურ პირობებთან ასოცირებული ჯანმრთელობის რისკების პრევენცია, მეცნიერულად დასაბუთებული მიდგომების ინსტიტუციონალიზაციის გზით.

– სამედიცინო მომსახურების საჯარო შემსყიდველზე გადასვლა მხოლოდ მას შემდეგ, რაც შემუშავდება დეტალური სამოქმედო გეგმა ნარსული გამოცდილების გათვალისწინებით.

– საჯარო შემსყიდველის სამუშაო პოტენციალის განვითარება. საჯარო შემსყიდველის ძირითადი ფუნქცია უნდა იყოს სწორი ხელშეკრულებების გაფორმება და იგი უნდა აღიჭურვოს დამატებითი სპეციფიკური უნარებით (რეგულირება, საინფორმაციო სისტემები, ხარჯების განსაზღვრა, გადახდა და მომსახურების მიმწოდებელთა მონიტორინგი ხელშეკრულებების შესაბამისად) შესაბამისი პროცესების სათანადო მართვისათვის.

– საჯარო სისტემაში საბაზრო ეკონომიკისათვის დამახასიათებელი მექანიზმების დანერგვა, მაგალითად, მომსახურების მიმწოდებელთა ნახალისება მუშაობის ხარისხის მიხედვით და შენაღებების/დანახარჯებისა და შედეგებს შორის ურთიერთკავშირის ანალიზი. საჯარო შემსყიდველთა და ჯანდაცვის მომსახურების მიმწოდებლებს შორის პარტნიორული ურთიერთობის დამყარება, რომელიც დაეფუძნება გრძელვადიან ხელშეკრულებებს, კოორდინირებულ სტრატეგიებს, რისკების, სარგებლისა და შემოსავლების განაწილებას და ნდობის ფაქტორს.

– შეღავათების საბაზისო პაკეტის შესახებ ინფორმაციის ფართოდ გავრცელება ისე, რომ ბენეფიციარები კარგად იყვნენ ინფორმირებულნი თავიანთი შეღავათებისა და უფლებების შესახებ.

– სამედიცინო მომსახურების მიმწოდებელთა კვალიფიკაციის ამაღლება სამედიცინო განათლების სამივე დონის (საბაზისო სა- უნივერსიტეტო, რეზიდენტურა და უწყვეტი სამედიცინო განათლება) გაძლიერების გზით.

– პროფესიული გაერთიანებების როლის ხელშეწყობა და მათი მხარდაჭერა, მიიღონ მონაწილეობა ხარისხის უზრუნველყოფაში ჯანდაცვის განვითარებულ ბაზარზე არსებული პრაქტიკის შესაბამისად.

8. სოციალური შეღავათები

ქართული ოცნების საარჩევნო პროგრამა:

„სოციალური დახმარების სისტემა უნდა მოიცავდეს საზოგადოების ყველა ის ფენა, რომელიც რეალურად საჭიროებს ასეთ დახმარებას. სოციალური მდგომარეობის შეფასებისათვის გამოყენებული უნდა იყოს მრავალფაქტორიანი მოდელი, რომელიც შეიქმნება საქართველოში უკვე მოქმედი სოციალურად გაჭირვებული ოჯახების შეფასების სისტემის ბაზაზე, მისი შემდგომი სრულყოფის გზით.“

„სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ბაზა, შეფასების სისტემის გათვალისწინებით, დიფერენცირებული იქნება კატეგორიებად და, შესაბამისად, ამ კატეგორიებისათვის დახმარებაც დიფერენცირებული იქნება; გაორმავდება უკიდურესად გაჭირვებულთათვის სოციალური დახმარების ოდენობა; გაიზრდება დახმარების მიმღებთა რაოდენობა.“

„საპენსიო სისტემის არსებითი რეფორმა, რომელიც ამ სისტემის დაგროვებით პრინციპზე გადასვლას ითვალისწინებს, დაეფუძნება სავალდებულო საპენსიო დაზღვევას.“

გაეროს ბავშვთა ფონდის რეკომენდაციები:

– შეფასდეს სოციალური შეღავათების არსებული სისტემის ეფექტიანობა.

– შეიქმნას სამუშაო ჯგუფი, რომელიც გადახედვას საჭიროებების შეფასების ფორმულას სოციალურად დაუცველი ბავშვიანი ოჯახების უფრო მეტად ჩართვის მიზნით. ბავშვიანი შინამეურნეობები უფრო მეტად არიან ღარიბები და უფრო ნაღვლებს მიტოვებულნი მიზნობრივ სოციალურ დახმარებას, ვიდრე სხვა შინამეურნეობები.

– დამყარდეს კავშირი სოციალურ აგენტებსა და სოციალურ მუშაკებს შორის, რათა უკეთ შეფასდეს ბავშვთა საჭიროებები სოციალურად დაუცველ ოჯახებში.

– განიხილოს ბავშვთა საყოველთაო შეღავათის შემოღების შესაძლებლობა. გაეროს ბავშვთა ფონდმა შეაფასა სხვადასხვა სოციალური დახმარების გაზრდის შესაძლო შედეგები, რომლის თანახმადაც 30-ლარიან ყოველთვიურ სარგებელს 0-16 წლამდე ასაკის თითოეულ ბავშვზე, შეუძლია შეამციროს უკიდურესი სიღარიბე 9.1%-დან 4.5%-მდე და ბავშვთა უკიდურესი სიღარიბე 9.4%-დან 3.9%-მდე, რაც სახელმწიფოს თვეში 25 მილიონი ლარი დაუჯდება (სადისკუსიო დოკუმენტი – ბავშვთა სიღარიბის შემცირება – გაეროს ბავშვთა ფონდი (UNICEF) ივლისი, 2012წ. მოსახლეობის კეთილდღეობის კვლევა 2011წ. და მოსახლეობის კეთილდღეობის კვლევა 2009წ., სოციალური მომსახურების ხელმისაწვდომობის ბარიერების კვლევა 2011წ.).

– გაუმჯობესდეს დღის ცენტრებისა და ადრეული ასაკის ბავშვთა განვითარების დაწესებულებების ხარისხი, რაც დაეხმარება ოჯახებს ბავშვზე ზრუნვაში, მართლაც დაედებს შრომით ბაზარზე გასვლაში და საქართველოს ბავშვებს იმ უნარების შექმნაში, რომელიც მათ დასაქმებულთა ზრდასრულობისას ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში თავიანთი წვლილი შესატანად.

– შეიქმნას საპენსიო რეფორმაზე მომუშავე ჯგუფი, საპენსიო სისტემაში შემოთავაზებული ცვლილებების დროულობისა და ვადების განსახილველად. აღნიშნული საჭიროა იმისთვის, რათა აღნიშნული ცვლილებების შესაძლო შედეგები სრულად აისახოს ბავშვებისა და მათი ოჯახების კეთილდღეობაზე და მოხდეს გაეროს ბავშვთა ფონდის სადისკუსიო დოკუმენტის „ბავშვთა სიღარიბის შემცირების“ ძირითადი რეკომენდაციების გათვალისწინება.

* * *

იუნისეფი მოუწოდებს მთავრობას, სოციალური პოლიტიკის და პროგრამული ცვლილებების შემუშავების პროცესში კონსულტაცია გაიაროს სამოქალაქო საზოგადოებასა და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან და განიხილოს ამ ცვლილებათა გავლენა გენდერულ სფეროში.

მოსწავლეები თავიანთი ინტერესებისა და უფლებების დასაცავად ერთიანდებიან



სულ რამდენიმე თვის წინ, ჯერ კიდევ, ისე ვსაუბრობდი „საქართველოს სკოლის მოსწავლეთა გაერთიანების ალიანსზე“, როგორც ორგანიზაციის იდეაზე, რომელსაც ზვიკრი მოსწავლესათვის სასიკეთო ცვლილებების მოტანა შეეძლო. ასევე კი, უზომოდ ბედნიერი ვარ, რომ შემიძლია ვთქვა ეს ორგანიზაცია უკვე ოფიციალურად ჩამოყალიბებული ახალგაზრდული ორგანიზაციაა, რომელმაც ამ თვეების განმავლობაში ფასიური გამოცდილებაც დააბრუნა და აქტიურ მოსწავლეთა დიდი აქტიურობითაც სარგებლობს. სრულიად ახალგაზრდული ენით მიხდა მკითხველს ვუთხარო, თუ რისთვის შეიქმნა ეს ორგანიზაცია, რა გაუქმებია და მომავალში რის გაქმნებას გეგმავს.

„საქართველოს სკოლის მოსწავლეთა გაერთიანების ალიანსი“ არის ეროვნული ძალა ორგანიზაცია, რომელიც საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მოქმედ მოსწავლეთა მცირე გაერთიანებებს – მოსწავლეთა კლუბებსა და თვითმმართველობებს აერთიანებს. ჩვენი მიზანია ხელი შევუწყოს მოსწავლეთა უფლებებისა და ინტერესების რეალიზაციას და დავხმარდეთ მათ გააქტიურებაში, სხვადასხვა არაფორმალური აქტივობების განხორციელებას გზით. იმისათვის, რომ სტაბილურად მასწავლებლებს ინფორმაციული და საინტერესო იყოს, გთავაზობთ თხრობის კითხვა-პასუხის რეჟიმში გაგრძელებას.

როგორ და რატომ შეიქმნა მოსწავლეთა გაერთიანების ალიანსი?

2010 წლიდან საქართველოში ხორციელდება სამოქალაქო განათლების და პედაგოგთა გადამზადების პროგრამა. სწორედ ამ პროგრამის განხორციელების მანძილზე უამრავი მოსწავლე გააქტიურდა თავიანთი უფლებების და ინტერესების დასაცავად, რამაც არაფორმალურ აქტიურ მოსწავლეთა ქსელის ჩამოყალიბება სრულიად ბუნებრივად განაპირობა. ამ აქტიურმა მოსწავლეებმა, ილია ვეკუას სახელობის ფიზიკა-მათემატიკის სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველობის წევრების თაოსნობით, გადაწყვიტეს ჩამოეყალიბებინათ ახალგაზრდული ორგანიზაცია, რომელიც უკვე მოსწავლეთა დიდი ქსელი გახდებოდა საქართველოში, სადაც თითოეული მათგანი მიიღებდა გამოცდილებას – როგორ იყენენ პროდუქტიულები თავიანთი კეთილდღეობისათვის, როგორ იბრძოდნენ თავიანთი უფლებების დასაცავად და ა.შ.

ორგანიზაციის შექმნის პროცესში იმის დანახვამ, რომ დასავლეთ ევროპაში მსგავსი ტიპის ორგანიზაციებს მუშაობის 30-40-წლიანი გამოცდილება აქვთ, უფრო და უფრო

გავიღვივებ იმის ამბიცია და სურვილი, რომ ქართველ მოსწავლეებსაც ასევე აქტიურად და შემართებით ემუშავათ თავიანთი ინტერესებისათვის.

მათ მიერ გამოცდილების გაზიარებამ, საქართველოს მასშტაბით, მოსწავლეებთან კონსულტაციების ჩატარებამ კიდევ ერთხელ დავარწმუნა, რომ მოსწავლეთა გაერთიანების ჩამოყალიბება ნამდვილად საჭირო საქმე იყო და ამისათვის ენერჯის არ დავიშურებდით. სწორედ ამ შრომის შედეგია, რომ დღეს, საქართველოში, მოსწავლეთა პირველი ორგანიზაცია არსებობს და მას „საქართველოს სკოლის მოსწავლეთა გაერთიანების ალიანსი“ ჰქვია.

რა გააქმნა ალიანსმა იმის არსებობის მანძილზე?

ამჟამად „საქართველოს სკოლის მოსწავლეთა ალიანსი“ საქართველოში 25-ზე მეტ მოსწავლეთა კლუბსა და თვითმმართველობას აერთიანებს და მუდმივად ახორციელებს სხვადასხვა პროექტებს, რათა მათ ლიდერული უნარ-ჩვევების გამოუმუშავებასა და თავიანთი უფლებების სწავლებაში დაეხმაროს.

2011 წელს, საქართველოს 8 რეგიონში, განხორციელდა პროექტი „ფორუმ თეატრი – ხელოვნება, როგორც სოციალური პრობლემების

კატალიზატორი“, რომელიც მოსწავლეებს საშუალებას აძლევდა, იმპროვიზაციაზე დაყრდნობით, სხვადასხვა სოციალური პრობლემების თემატიკაზე – შეზღუდული შესაძლებლობის მოსწავლეთა პრობლემები, განათლების ხელმისაწვდომობის პრობლემა მალაქმიან სოფლებში და ა.შ. – დაედგათ მინი-სპექტაკლები და კონკრეტული სიუჟეტის ბოლოს პრობლემის მათეული გადაჭრის გზა გამოეხატათ.

2011 წელსვე, დეკემბერში ალიანსმა, კამპანია-მსვლელობა მოაწყო თელავში, ზუგდიდში, ქუთაისსა და თბილისში იმისათვის, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეებს როგორც საშუალო, ასევე უმაღლეს განათლებაზე ჰქონოდათ ხელმისაწვდომობა.

2012 წელს კი, მოსწავლეთა გაერთიანების ალიანსის ორგანიზებითა და ევროპის საბჭოს უშუალო მხარდაჭერით, განხორციელდა საქართველოში ერთ-ერთი პირველი ინკლუზიური ეროვნული ტრენინგ-კურსი ადამიანის უფლებების განათლების სფეროში, სადაც მონაწილე ტრენინგის ევროპის სკოლის მოსწავლეთა გაერთიანების საორგანიზაციო ბიუროს გამგეობის წევრი დამა კორიბანოვიჩა. ალიანსისთვის ეს უდიდესი წარმატება იყო, ერთი მხრივ იმიტომ, რომ ტრენინგის მონაწილეები 4 განსაკუთრებული ქვეჯგუფებიდან მოდიოდნენ – შ.შ.მ. ახალგაზრდები, ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი ახალგაზრდები ახალციხიდან, დევნილი მოსწავლეები აფხაზეთიდან და აქტიური მოსწავლეები საქართველოს სხვადასხვა რეგიონებიდან; მეორე მხრივ იმიტომ, რომ პირველი წარმატებული ნაბიჯი იყო ჩვენი ორგანიზაციის ევროპის სკოლის მოსწავლეთა გაერთიანების საორგანიზაციო ბიუროში განწევრიანებისთვის.

გარდა ამისა, ჩვენი ორგანიზაცია აქტიურად მონაწილეობს საერთაშორისო აქტივობებში. ჩვენთან მოხალისედ მომუშავე მოსწავლეები ესწრებოდნენ სასწავლო სესიებს, მოსწავლეთა უფლებების შესახებ, ბუდაპეშტსა და სტრასბურგში, ასევე, მშვიდობის განვითარების შესახებ – ამსტერდამსა და ვენაში. ჩვენ მუდმივად ვცდილობთ, სულ უფრო მეტ მოსწავლეს მივცეთ საშუალება მიიღონ

ევროპული ფასიური გამოცდილება და, ასევე, ის გამოცდილება, რაც უკვე მივიღეთ ჩვენი საზოგადოების სასიკეთოდ გამოვიყენოთ.

რა იგეგმება მომავალში?

17 ნოემბერი მოსწავლეთა და სტუდენტთა საერთაშორისო დღეა. ამ დღეს მთელი ევროპა აღნიშნავს, ჩვენი ორგანიზაციაც დიდ მზადებაშია. 17 ნოემბერს მოეწყობა წიგნის პრეზენტაცია, რომელიც ალიანსმა ქართულ ენაზე თარგმნა და გამოსცა. წიგნის სახელწოდებაა „ინსტრუქციები სკოლის მოსწავლეებისათვის“ და წარმოადგენს ერთგვარ გიდს, თუ როგორ უნდა იყენებოთ მოსწავლეები აქტიურობა, როგორ დაგვემონ შეხვედრები, დაწერონ პროექტები, დაუკავშირდნენ სამთავრობო სტრუქტურებს და ა.შ. უფრო მეტი მოსწავლეს, შეამონოს ჩვენი საიტი – www.gssua.ge, სადაც დაიდება ინფორმაცია პრეზენტაციის ჩატარების ადგილის შესახებ და აუცილებლად გვეწვიოს.

სულსან ჩარბივიძი
საქართველოს სკოლის მოსწავლეთა გაერთიანების ალიანსის თავმჯდომარე, თბილისის №42 საჯარო სკოლის მოსწავლე



ცხოვრება აზრით და ბრძოლით

ლალი ჯელაძე

25 ოქტომბერს, ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, პროექტის „ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პირადი არქივები – სასწავლო-საგანმანათლებლო რესურსი, პროექტი – ფარგლებში გაიხსნა კვირეული – „გრიგოლ რობაქიძე – ცხოვრება აზრით და გრძობით.“

საკმაოდ დატვირთულ და საინტერესო კვირეულზე გრიგოლ რობაქიძის ცხოვრებისა და შემოქმედების დეტალები საჯარო ლექციების სახით წარმოადგინეს თემებით: გრიგოლ რობაქიძე ემიგრაციაში – ლაშა ბაქრაძე, ფილოლოგ-გერმანიისტი, ისტორიკოსი; უცნობი გრიგოლ რობაქიძე – ახალი ქართული გამოცემები – ზვიად კვარაცხელია, მწერალი; პირადი არქივი – მისი მნიშვნელობა გრიგოლ რობაქიძის პიროვნების და შემოქმედების კვლევისთვის – ეთერ ქავთარაძე, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის არქივთმცოდნეობის დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი, გრიგოლ რობაქიძის პირადი არქივის მკვლევარი; გრიგოლ რობაქიძე – ცხოვრება აზრით და გრძობით – გოჩა საითიძე, მისი არქივის მეცნიერული ცენტრის არქივთმცოდნეობის დეპარტამენტის ხელმძღვანელი; გრიგოლ რობაქიძე – პოლიტიკური ფიგურა – რუსუდან დაუშვილი, პროფესორი, ემიგრაციის მკვლევარი.

ეს პროექტი, ცენტრის განათლების დეპარტამენტის მიერ, საგანგებოდ სკოლებისათვის შემუშავდა და 14 საგანმანათლებლო პროგრამა შეირჩა. აქედან 2012 წლისთვის გათვალისწინებულია 5 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება.

პროექტის მიზანი, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის კოლექციების საფუძველზე, ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საკითხების აქტუალიზაციაა, რაც ხელს შეუწყობს ცენტრისა და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების თანამშრომლობის განვითარებას, სასწავლო პროცესში ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მასალების სასწავლო რესურსის სახით გამოყენებას; აქ დაცული კოლექციების სასწავლო-საგანმანათლებლო მნიშვნელობის გააზრებას პედაგოგიურ საზოგადოებაში.

„გრიგოლ რობაქიძე“ რიგით მესამე პროექტია, რომელსაც თბილისის სკოლები დიდი ინტერესით შეხვდნენ.

ირინა გოგონია, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის განათლების დეპარტამენტის ხელმძღვანელი: „შე არც ლიტერატორი ვარ და არც ისტორიკოსი, განათლებით ქიმიკოსი ვარ, მაგრამ როცა ცენტრში მოვედი სამუშაოდ, როგორც მოქალაქემ და როგორც მკითხველმა კულტურული შოკი მივიღე. დაძვბდა სიმდიდრე, რომელიც სათანადოდ აღქმული არ არის. მაშინვე დაინწყით ექსპრესიული არ არის. მაშინვე დაინწყით ექსპრესიული არ არის. მაშინვე დაინწყით ექსპრესიული არ არის.“

საინტერესოა ასევე შევხვედეთ: „ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პირადი არქივები – სასწავლო-საგანმანათლებლო რესურსი სკოლებისათვის.“

ამ მიზნის მიღწევა შესაძლებელია: ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის საჭიროებების და ცენტრის შესაძლებლობების შესწავლით, რომელიც უნდა განხორციელდეს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგნობრივი სტანდარტის და ცენტრში დაცული კოლექციებისა და განხორციელებული სამეცნიერო-კვლევების მასალების შეჯერების საფუძველზე; შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებით, რომელიც წარედგინება სკოლას, როგორც სასწავლო რესურსი, ინსტრუმენტი ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების ზოგადად, და კერძოდ ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული კონკრეტული საგნის სტანდარტით გათვალისწინებული შედეგების მიხედვით, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობად.

ეს ყველაფერი გავანალიზეთ, შევისწავლეთ ცენტრის ქართველ მწერალთა და მოღვაწეთა პირადი არქივები და აღმოჩნდა, რომ ჩვენ შევიძლია გავაკეთოთ 14 საგანმანათლებლო პროგრამა 14 ავტორზე. მაგალითად,

მიხილავთ ჯავახიშვილიც ისწავლება სკოლებში და გალაკტიონ ტაბიძეც, მაგრამ ჩვენს პირადი არქივებში არ არის დაცული ჯავახიშვილის პირადი არქივი, სამაგიეროდ, გვაქვს გალაკტიონის პირადი არქივი. ამიტომ, რაც გვაქვს, მისი პედაგოგიზაცია გადავწყვიტეთ. როგორც მოგვხსენებთ, ეროვნული სასწავლო გეგმა მასწავლებლებს აძლევს თავისუფლებას შედეგზე გავიდეს არა მხოლოდ სახელმძღვანელოთი, არამედ სხვა რესურსის დახმარებით. სწორედ ასეთ რესურსად ვთავაზობთ პედაგოგებს ჩვენს პროექტს.

პროექტი კომპლექსური პროგრამისგან შედგება: პირველი გამოფენა – ავტორგაფების გამოფენა, რომელსაც თან ახლავს პრეზენტაციები. პირველად ამით შემოვიფარგლეთ, თუმცა მიზეზით, რომ აქ მოსწავლე პასუხი არა მის გამო მას შემდეგ პროექტში მონაწილეობის სურვილი აღარ გაუჩნდებოდა, ამიტომაც ინტერაქტიული საგანმანათლებლო პროგრამა შემოვიღეთ, რომელიც გულისხმობს შემდეგ აქტივობებს – მინიკვლევა, რომელსაც მოსწავლე ჩვენს მიერ შედგენილი სამუშაო ფურცლებით ახორციელებს. მოცემული დავალებები – მარტივიდან რთულიმდე – აიძულებს მოსწავლეს თვითონ დაამუშაოს გამოფენილი მასალა. გარდა ამისა, დავამატეთ საჯარო ლექციები, რომელსაც კომპეტენტური ადამიანები – ცენტრის მეცნიერ-თანამშრომლები ან მონაცემული სპეციალისტები კითხულობენ. ჩვენი ცენტრი სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებაა და მთელი ღირსებაც სწორედ ამაშია, აქ არქივებს არ მხოლოდ ვიცავთ, არამედ მეცნიერულად ვსწავლობთ და ვამუშავებთ. ეს ყველაფერი კი ამ პროექტის საშუალებით შევიძლია მივანდოთ სკოლებს. ბოლოს გადავწყვიტეთ შემოვტანოთ სახალისო შეჯიბრებითი ელემენტები ლიტერატურული ვიქტორინის სახით. ფაქტობრივად, ამით შეივარცხილა – ანუ გვაქვს გამოფენა, მისი თანმხლები საუბარი-პრეზენტაციები – მოსწავლეთა ჩართულობა მინი-კვლევის და შემდეგ საჯარო პრეზენტაციის სახით, საჯარო ლექციები და ვიქტორინა.

პროექტის დაწყებამდე სკოლებს ვუფ ზავენით მოწვევას ჩვენს საგანმანათლებლო პროგრამაზე. ეს, ფაქტობრივად, საექსპურსიო სასწავლო გეგმაა, რომლის საშუალებითაც მასწავლებლებმა უკვე იციან, რა დახედებათ აქ და როგორ მოამზადონ ამისთვის მოსწავლეები. ელექტრონულ სასწავლო რესურსს განვიხილავთ, როგორც პროგრამის უმნიშვნელოვანეს კომპონენტს, რომელიც ხელს შეუწყობს სკოლას, ჩაერთოს საგანმანათლებლო პროგრამაში, როგორც სრულყოფილი პარტნიორი ნიანაზირი მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარების საფუძველზე. მოსამზადებელ სამუშაოებში იგულისხმება ექსპურსიის შინაარსობრივი (ექსპურსიის მიზნის ფორმულიზება; ექსპურსიის შინაარსობრივი და პოსტექსპურსიო აქტივობების ჩამონათვალისა და შინაარსის განსაზღვრა) და ორგანიზაციული დაგეგმვა. სწორედ შინაარსობრივი კომპონენტის დაგეგმვაში ეხმარება მასწავლებლებს ელექტრონული სასწავლო რესურსი, რომელიც ცენტრის ვებგვერდზეც არის განთავსებული.

2012 წლისთვის 14 საგანმანათლებლო პროგრამიდან ჩვენ 5-ის განხორციელება დაგეგმეთ. აქედან უკვე მეორეჯერ ვახორციელებთ. პირველი პროექტი ვახდენთ დღემდე. პირველი მიმდინებელია, შემდეგ იაკობ გოგებაშვილს, მესამე პროექტი ვახდენთ გრიგოლ რობაქიძე, ახლა ილია ჭავჭავაძე მიმდინარეობს, დეკემბერში კი „ვეფხისტყაოსნის“ განხორციელებას ვაპირებთ. მომავალ წელს დაგეგმილია აკაკი, ვაჟა და გრიგოლ ორბელიანი.

როგორც ვითხარით, კვირეულის ბოლო აკორდები ვიქტორინაა. ვიქტორინისთვის ნიანაზირ ვუფ ზავენით სკოლებს კითხვებიდან გამომდინარე ლიტერატურას, რათა მოსწავლეები მოემზადონ შეჯიბრისთვის. ამჯერად, მონაწილეობა მიიღო თბილისის ოთხმა სკოლამ – პირველი კლასიკური გიმნაზია, პირველი ექსპერიმენტული სკოლა, გიმნაზია „შავნაბადა“ და კერძო სკოლა „ლომისი“.

ვიქტორინა სამ ეტაპად მიმდინარეობს – დაავიწყეთ მარტივი ტურით, რომელიც მოიცავდა შედარებით მარტივ კითხვებს, რომელსაც ოთხი სავარაუდო პასუხი ახლავს და მათგან მოსწავლეებმა ერთი სწორი პასუხი უნდა აირჩიონ. მეორე ტური ითვალისწინებს ღია


პასუხებს, მათ უნდა იმსჯელონ და ისე უპასუხონ შეკითხვებს; მესამე ტური ბლიც კითხვებია – ვინ უფრო სწრაფად გაცემს ჩვენ მიერ დასმულ კითხვებს მეტ სწორ პასუხს. მოსწავლეებისთვის მოულოდნელი იყო ყოფილი მიერ დასმული კითხვები. იმ საჯარო ლექციებიდან გამომდინარე, რომელიც კვირეულის ფარგლებში მათ წაეკითხათ. მოსწავლე, რომელიც სრულად დაესწრო გრიგოლ რობაქიძის კვირეულს, იოლად გაცემს პასუხს. ამ ტურში „შავნაბადამ“ გამარჯვება და საერთოდ, ვიქტორინის გამარჯვებულებს სწორედ ეს სკოლა აღმოჩნდა.

ყოფილი იმ ადამიანებისგან დაკომპლექტება, ვინც კვირეულის საჯარო ლექციები წაიკითხა. ყოფილი თავმჯდომარეა ქალბატონი ეთერ ქავთარაძე, ნევრები: რუსული დაუშვილი, ზვიად კვარაცხელია და არასამთავრობო ორგანიზაცია „საქართველოს რეგიონული განვითარება“, ხელმძღვანელი – ლელა ნითლაძე.

ნესტან ზავაური, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის განათლების დეპარტამენტის მეცნიერ-თანამშრომელი: „გრიგოლ რობაქიძის კვირეული მწერლის საიუბილეო დღეებთან დაკავშირებით დაიგეგმა. საექსპურსიო პროგრამის შესახებ შეტყობინება ვაფუფუნეთ თბილისის ყველა სკოლას, ვისთანაც გვაქვს მუდმივად ელექტრონული კავშირი. სხვა აქტივობების გარდა, მოგვხსენებთ, ყოველდღე დაგეგმილი გვქონდა საჯარო ლექციები. ვეცადეთ განსხვავებული პროფესიის მკვლევარები წარმოგვედგინა გრიგოლ რობაქიძის – ისტორიკოსი, მწერალი, ლიტერატურის თეორეტიკოსი, ისე, რომ შევხვულიყო გრიგოლ რობაქიძის პორტრეტი. საინტერესო ლექციები მოსწავლეები ბევრ ინფორმაციას იღებენ, რასაც შემდეგ ვიქტორინაზე ავლენენ. ვიქტორინის ყველა მონაწილემ მიიღო სიგელი, ხოლო გამარჯვებული გუნდი დასარწმუნებლად კომპლექტით სერიიდან – „უცნობი გრიგოლ რობაქიძე“. რაც მთავარია, პროექტის მიზანი მიღწეულია, რადგანაც მოსწავლეთა ჩართულობა თანდათან იზრდება და მეტი სკოლა გამოთქვამს სურვილს, ჩაერთოს ჩვენს საგანმანათლებლო პროექტებში. დღეს სტუმრად ლავროვიჩი მოსწავლეებიც გვეწვივნენ, მათ გამოთქვეს სურვილი, მომავალში ინტენსიურად მიიღონ მონაწილეობა პროგრამაში.“

კვირეულის ბოლო საჯარო ლექცია გრიგოლ რობაქიძის პოლიტიკური ფიგურის გაანალიზებას მიეძღვნა, რომელიც პროფესორმა, ემიგრაციის მკვლევარმა რუსუდან დაუშვილმა წაიკითხა. ქალბატონმა რუსუდანმა ხელნაწერთა ცენტრის მიერ ემიგრანტი მწერლის შესახებ ჩატარებული კვირეული შეაფასა და აღნიშნა, რომ: „ნებისმიერი აქტივობა, რომელიც ქართულ ემიგრაციას ეძღვნება, ძალიან დასაფასებელია, იმიტომ, რომ ქართულმა ემიგრაციამ ბევრი ინტელექტუალური შემკიდობა, რომელიც აუცილებელია და, რაც შეიძლება სწრაფად, უნდა ჩაერთოს ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში – განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ლიტერატურა და, მათ შორის, გრიგოლ რობაქიძის შემოქმედება. ძალიან მნიშვნელოვანია თუნდაც იმ კუთხით, რომ მოსწავლეებმა, რომელთა სასწავლო პროგრამაში არ შედის ეს დიდებული ქართველი მწერალი, თუნდაც ასეთი აქტივობებით შეიტყონ მისი შესახებ.“

რაც შეეხება ჩემს დღევანდელ ლექციას, ის ეხებოდა გრიგოლ რობაქიძეს როგორც პოლიტიკურ ფიგურას. პოლიტიკოსი და პოლიტიკური ფიგურა განსხვავებული ცნებებია. ლექციაში აქცენტი სწორედ პოლიტიკურ ფიგურაზე ვაფუძვლავ. საბჭოთა კავშირში მისგან პოლიტიკური ფიგურა – მტერი, მოლაპატე – შექმნეს, თუმცა ის პოლიტიკაში ნაკლებად ეროვნულ მასთან დაკავშირებული ხალხი გაანადგურეს, მისი სახელების ხსენებაც კი აკრძალეს. ბევრი ადამიანი შეეწირა მხოლოდ იმას, რომ მისი მკითხველი იყო. რაც შეეხება მწერლის ემიგრაციას, ის ემიგრაციაში ნამდვილად გახდა პოლიტიკური ფიგურა. მის მიერ გამოცემული ნაშრომები – „პიტლერი“ და „მუსოლინი“ გახდა იმის საბაბი, რომ, პრაქტიკულად, გრიგოლ რობაქიძეს მოღვაწეობა აკრძალა. მას არსად აღარ ბეჭდავენ. სხვათა შორის, ბევრი ემიგრანტი მიჩინედა მას პოლიტიკურ ფიგურად და არ უწონებდა ამ ნიგნების გამოცემას. საქართველოშიც და უცხოეთშიც გრიგოლ რობაქიძე გახდა პოლიტიკური ფიგურა, თუმცა ის არასოდეს ჩარეულა პოლიტიკაში, შესაბამისად,



სად, არასოდეს ყოფილა პოლიტიკოსი. სწორედ ეს მიწოდა მეტყვე მოსწავლეებისთვის, მეჩვენებინა, მიმეხვედრებინა, როგორ შეიძლება პოლიტიკის მიმართ ნეიტრალური ადამიანისგან შეიქმნას პოლიტიკური ფიგურა.“

გრიგოლ რობაქიძის კვირეულმა მოსწავლეებზე მართლაც დიდი შთაბეჭდილება დატოვა. გთავაზობთ მათ აზრებს:

ანი გველესიანი, გიმნაზია „შავნაბადას“ მოსწავლე: „ძალიან კარგი გამოცდილება მივიღე. მოვისმინეთ საინტერესო ლექციები და, რაც მთავარია, ბევრი ინფორმაცია მოვიპოვეთ ამ ძალიან საინტერესო ქართველი მწერლის შესახებ. მომწონს ისიც, რომ კვირეულის ბოლოს მოსწავლეებს საშუალება გვეძლევა ვიქტორინის სახით ერთმანეთს შევეჯიბროთ – რა ვიციტი გრიგოლ რობაქიძის შესახებ. ყველაფერი ერთად ბევრის მომცველია და ჩვენთვის სასარგებლო. სხვა შემთხვევაში, ალბათ, ასე დეტალურად გრიგოლ რობაქიძის ცხოვრებასა და შემოქმედებას არ შევისწავლიდით.“

ნია ჭავჭავაძე, პირველი ექსპერიმენტული სკოლის მოსწავლე: „გრიგოლ რობაქიძის კვირეულმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე, გავეცანი მწერლის ბიოგრაფიას, ცხოვრების მნიშვნელოვან დეტალებს, მის შემოქმედებას. ისეთი ინფორმაცია მივიღეთ მწერლის შესახებ, რომელიც ინტერნეტშიც არ არის. ეს ყველაფერი რომ გვავანალიზებ, სულ სხვაგვარად დავიხატე მწერალი, რომელიც „ხალხის მოლაპატე“ შერაცხეს. ჩემი აზრით, მის გადაწყვეტილებას – უარყო საბჭოთა კავშირი და მხარი დაუჭირა გერმანიას, ჰქონდა გამართლება, რადგანაც მას ქართველი ხალხის, ქვეყნის თავისუფლება სურდა.“

ვიქტორინაზე ერთგვარად შეჯამდა ჩვენი ცოდნა. იმედია, სხვა მწერლებსაც მიეძღვნება ასეთი საინტერესო კვირეულები და ჩვენ სიამოვნებით მივიღებთ მონაწილეობას.“

ნინო ჯავაშიძე, ლავროვიჩის რაიონის აფენის №1 საჯარო სკოლის მოსწავლე: „დღეს პირველად ვართ ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში და დიდი შთაბეჭდილების ქვეშ ვიმყოფებით. მოვისმინეთ ლექცია გრიგოლ რობაქიძის შესახებ და თვალს ვაფიქსირებთ ვიქტორინას, რომელშიც თბილისის სკოლები მონაწილეობენ. გადაწყვეტილი გვაქვს, სხვა პროექტებში ჩვენი სკოლა ჩაერთოს. იმედია, ჩვენი სურვილი განხორციელდება.“

მარიამ კახანიძე, აფენის №1 საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი: „ძალიან გვიმწიფდა კვირეულის დასკვნით ნაწილს დაეხსრებოდით, რათა ამ პროექტის ფორმალთა ენახათ ჩვენს მოსწავლეებს. მათ ძალიან დიდი სურვილი აქვთ, ჩაერთონ სხვა პროექტებში. ბავშვები შთაბეჭდილებებით არიან სავსე, ყველაფერი მოსწონთ. რაც მთავარია, ბევრი ინფორმაცია მიიღეს ამ საამაყო ქართველი მწერლის შესახებ.“


კვირეული – „გრიგოლ რობაქიძე“ – ცხოვრება აზრით და გრძობით – 31 ოქტომბერს დასრულდა. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი კი ამჟამად ილიას პირად არქივს აცნობს მოსწავლეებს. ძალიან საინტერესო და დაგეგმილი სასწავლო-საგანმანათლებლო რესურსი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისათვის მართლაც ერთ-ერთ საუკეთესო რესურსად შეიძლება აქციონ პედაგოგებმა. ამ პროექტის მიზანაც, ხომ სწორედ მათთვის საჭირო მასალის პედაგოგიზაციაა.

ფიზიკის კვლავი დასახარებლად

მაგნიტური ველი. ელექტრომაგნიტური ინდუქცია

ამოცანა 88

ჰორიზონტალურ მაგნიტურ ველში (სურათზე გამოსახული ჯვრები გვიჩვენებს, რომ მაგნიტური ველი შედის სურათის სიბრტყეში) მოთავსებულია ვერტიკალურ მავთულზე ჩამოკიდებული წრფივი გამტარი. რა სიდიდის დენი უნდა გადიოდეს ჰორიზონტალურ გამტარში, რომ საკიდის მავთულები დაუჭიმათ მდგომარეობაში აღმოჩნდეს? მაგნიტური ველის ინდუქცია $B=0,01$ ტლ-ს, მავთულის სიგრძის ერთეულის მასა $m/l=0,01$ კგ/მ.



ამოხსნა

რადგან საკიდი დაჭიმული არ უნდა იყოს, გამტარზე მოქმედი ორი ძალა - ვერტიკალურად ქვევით მიმართული სიმძიმის ძალა (mg) უნდა აწინააღმდეგებდეს ვერტიკალურად ზევით მიმართული ამპერის ძალა (F): $mg = F$. იმის გამო, რომ გამტარში გამავალი დენის და მაგნიტური ველის პარალელურობის მიმართულებები ურთიერთ-მართობულია, შეგვიძლია დავწეროთ: $F = BIl$, სადაც I - გამტარში გამავალი დენის ძალაა, l - გამტარის სიგრძე. ამის გათვალისწინებით მივიღებთ: $mg = BIl$, საიდანაც $I = mg/Bl$. ამ ფორმულაში მონაცემების შეტანის შემდეგ მივიღებთ: $I = 10$ ა.

ამოცანა 89

რატომაა, რომ ორი პარალელური გამტარი, რომლებშიც ერთი მიმართულების დენი გადის, ერთმანეთს იზიდავს, ორი პარალელური ელექტრონების ნაკადი კი - განიზიდავს?

ამოხსნა

გამტარებში ჯამური მოცულობითი მუხტის სიდიდე ნულის ტოლია და ამიტომ გამტარებს შორის წარმოიქმნება მხოლოდ მუხტების მოძრაობით გამოწვეული მაგნიტური ურთიერთქმედების ძალები. ამის გამო გამტარები ერთმანეთს იზიდავს. ელექტრონების ნაკადი წარმოადგენს უარყოფითად დამუხტული ნაწილაკების ნაკადს, რომლებიც განიზიდავს მათ შორის წარმოქმნილი ელექტრული ძალების მეშვეობით.

ამოცანა 90


$l=0,2$ მ-ით დაშორებულ ჰორიზონტალურ რელსებზე მათდამი მართობულად მოთავსებულია გამტარი ღერო. რა სიდიდის უნდა იყოს მაგნიტური ველის ინდუქცია, რომ ღერო მოძრაობა დაიწყოს მასში $I=50$ ა დენის გატარებისას? ღეროს მასა $m=0,5$ კგ, მისი რელსებთან ხახუნის კოეფიციენტი $k=0,2$.

ამოხსნა

რელსზე მოთავსებულ დენიან გამტარზე ჰორიზონტალური მიმართულებით მოქმედებს ორი ძალა: მაგნიტური ველის მხრიდან მოქმედი ამპერის ძალა და მის საწინააღმდეგოდ მიმართული ხახუნის ძალა. ღეროს ამოძრავების პირობა ფაქტიურად ამ ძალების ტოლობის პირობაა: $F = F_{\text{ხ}}$. აქ $F = BIl$ და $F_{\text{ხ}} = kmg$, რადგან ღერო რელსს მართობულად ეყრდნობა. ამ ძალების გატოლებიდან მივიღებთ: $BIl = kmg$, საიდანაც $B = \frac{km g}{Il} = 0,1$ ტლ.

ამოცანა 91

ჰორიზონტალურად მოთავსებულ უძრავ გამტარ ჩარჩოზე, რომლის წინაღობა შეიძლება უგულებელვყოთ, მოთავსებულია l სიგრძის და R წინაღობის AB გამტარი (იხ. სურათი). გამტარების სიბრტყის მართობულად, ნახაზის სიბრტყისკენ, მოდებულია B ინდუქციის მაგნიტური ველი. რა სიდიდის F ძალა უნდა მოვდეთ AB გამტარს, რომ მან მუდმივი v სიჩქარით იმოძრაოს?



ამოხსნა

გამტარის v სიჩქარით მოძრაობისას გამტარისა და ჩარჩოს ჩაკეტილი ნაწილისგან შემდგარ კონტურში აღიმდრება ინდუქციის ემპ: $E = Bvl$. ამ დროს კონტურში არსებული დენის ძალა ტოლია: $I = \frac{\mathcal{E}}{R} = \frac{Bvl}{R}$. მარცხენა ხელის წესის თანახმად, ინდუქციური დენის მიმართულება იქნება A -დან B -სკენ, რადგან მაგნიტური ველის ძალწირები შედის ნახაზის სიბრტყეში. იმავე წესის თანახმად, მაგნიტურ ველში დენიან გამტარზე მოქმედებს ძალა, რომელიც ტოლია (იხ. სურათი): $F = Bvl = \frac{B^2 l^2 v}{R}$, ამიტომ, ამ სიდი-

დის ძალა უნდა მოვდეთ გამტარს საწინააღმდეგოდ მიმართულებით, რომ მან მუდმივი v სიჩქარით ისრიალოს გამტარ ჩარჩოზე.

ამოცანა 92

$D=5$ სმ დიამეტრის კოჭა მოთავსებულია ერთგვაროვან მაგნიტურ ველში, რომლის ძალწირები კოჭას ღერძის პარალელურია. ველის ინდუქცია თანაბრად იცვლება $\frac{\Delta B}{\Delta t} = 10^{-2}$ ტლ/წმ სიჩქარით. კოჭა შედგება სპილენძის ($\rho = 1,7 \cdot 10^{-8}$ ომი-მ) მავთულის $n=1000$ ხვიისაგან. მავთულის განივკვეთის ფართობი $S=0,2$ მმ². განვსაზღვროთ კოჭას ბოლოებთან მიერთებული $C=10$ მკვ ტევადობის კონდენსატორზე წარმოქმნილი მუხტი. გავიგოთ კოჭაში გამოყოფილი სიმძლავრე კოჭას ბოლოების მოკლე ჩართვისას.

ამოხსნა

კონდენსატორის შემონაფენებზე მუხტის სიდიდე ტოლია $q = CE$, სადაც E არის კოჭას გამჭოლი მაგნიტური ველის ცვლილების შედეგად წარმოქმნილი ინდუქციის ემპ, რომლის მოდული ტოლია: $E = \frac{\Delta \Phi}{\Delta t} = \frac{\Delta B A n}{\Delta t}$, სადაც A - კოჭას განივკვეთის ფართობია:

$A = \frac{\pi D^2}{4}$ ამგვარად, კონდენსატორზე წარმოქმნილი მუხტისთვის მივიღებთ:

$$q = C \frac{\Delta B n}{\Delta t} \cdot \frac{\pi D^2}{4} \approx 2 \cdot 10^{-7} \text{ კ.}$$

მოკლე ჩართვისას კოჭაში გამოყოფილი სიმძლავრე შემდეგნაირად გამოვსახოთ:

$$P = \frac{E^2}{R}, \text{ სადაც } R \text{ მავთულის წინაღობაა: } R = \rho \frac{l}{S} n. \text{ აქ } l = \pi D \text{ კოჭას ერთი ხვიის სიგრძეა.}$$

ინდუქციის ემპ-ს და კოჭას წინაღობის სიმძლავრის ფორმულაში ჩასმით მივიღებთ:

$$P = \left(\frac{\Delta B}{\Delta t} \right)^2 \cdot \frac{\pi D^3 n S}{16 \rho} \approx 3 \cdot 10^{-5} \text{ ვტ.}$$

ამოცანა 93

v სიჩქარით მოძრავი ელექტრონი აღმოჩნდა ერთგვაროვან მაგნიტურ ველში, რომლის B ინდუქციის მიმართულება v - სთან α კუთხეს ადგენს. რა რადიუსის წრეწირს შემოწერს ელექტრონი? რას უდრის ელექტრონზე მოქმედი ძალის მუშაობა? როგორია ელექტრონის მოძრაობის ტრაექტორია?

ამოხსნა

მაგნიტურ ველში ელექტრონზე იმოქმედებს ლორენცის ძალა, რომელიც მარცხენა ხელის წესის თანახმად ელექტრონს მიანიჭებს ცენტრისკენულ აჩქარებას, ანუ ნიუტონის მეორე კანონის შესაბამისად შეგვიძლია დავწეროთ: $F_{\text{ლ}} = m_e a_{\text{ც}}$ (1), სადაც ლორენცის ძალა $F_{\text{ლ}} = evB$. აქ $v_{\text{ტ}} = v \sin \alpha$ არის სიჩქარის მდგენელი, რომელიც ინდუქციის მიმართულების მართობულია, e ელექტრონის მუხტია, m_e - ელექტრონის მასა. ელექტრონის ცენტრისკენული აჩქარების $\left(a = \frac{v^2 \sin^2 \alpha}{R} \right)$ და ლორენცის ძალის გამოსახულების (1)

ფორმულაში ჩასმით მივიღებთ: $evB = m_e \frac{v^2 \sin^2 \alpha}{R}$, საიდანაც $R = \frac{m_e v^2 \sin \alpha}{eB}$.

შესრულებული მუშაობა ნულის ტოლია, რადგან ელექტრონზე მოქმედი ძალა ყოველთვის მისი გადაადგილების მართობულია. ელექტრონის მოძრაობის ტრაექტორია ხრახნის წარმოადგენს, რომლის ბიჯი (h) დამოკიდებულია სიჩქარის მაგნიტური ველის გასწვრივ მდგენელზე ($v \cos \alpha$) და ელექტრონის მიმოქცევის დროზე, ანუ პერიოდზე (T). ამ უკანასკნელის საპოვნელად დავწეროთ: $T = \frac{2\pi R}{v \cos \alpha}$, ანუ იმის გამო,

რომ ინდუქციის ძალწირის გასწვრივ ძალა არ მოქმედებს ელექტრონი ამ მიმართულებით თანაბრად მოძრაობს, ამიტომ ხრახნის ბიჯი ტოლი იქნება:

$$h = \frac{2\pi m_e v \sin \alpha \cos \alpha}{eB}$$

იუბილე

მასწავლებლის პრისკასობა



არიან ადამიანები, რომლებიც საგანმანათლებლო ასპარეზზე საკუთარ ისტორიას ქმნიან. გამორჩეული გამორჩეულთა შორის - ასე ახასიათებენ ქალბატონი ნელი სოსელიას, რომელიც 55 წელი მოღვა-

ნეობს ჩვეული ენერჯითა და სამაგალიტო შემართებით №86 სკოლაში. ა.ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის დასრულებისთანავე, 1957 წელს, მუშაობა დაიწყო №86 სკოლაში რუსული ენის მასწავლებლად და პიონერხელმძღვანელად. 1967-82 წლებში იყო დირექტორის მოადგილე, ხოლო 1980 წლიდან 2006 წლამდე - ამავე სკოლის დირექტორი. იშვიათი ბიოგრაფიის მქონე პიროვნებაა, თბილისის ძირძველ უბანში - ელიაზე მას ყველა მოკრძალებითა და სიყვარულით ხვდება. ათასობით ახალგაზრდა გამოვიდა ცხოვრების ასპარეზზე მისი უშუალო ხელმძღვანელობით. ღრმად ერუდირებული, კომუნიკაბელური, ტოლერანტი, განათლების პროფესიონალი მოღვაწე დღესაც ჩვეული ენერჯით აგრძელებს მუშაობას რუსული ენის მასწავლებლად. მიღებუ-

ლი აქვს უამრავი ჯილდო, მაგრამ ყველაზე დიდ ჯილდოდ მრავალი ათასი კურსდამთავრებულისა და მოსწავლეების სიყვარულსა და სიბოძოს მიიჩნევს. ქალბატონ ნელის საქმიანობა ნათელი მაგალითია იმისა, თუ როგორი უნდა იყოს პედაგოგი, აღმზრდელი, კოლეგა, ზოგადად განათლების მუშაკი, რომელიც სკოლის ყოველდღიური ცხოვრების წესით ცხოვრობს. №86 საჯარო სკოლის დირექცია, პედაგოგები, მოსწავლეები ვულოცავენ ქალბატონ ნელის ოთხმოცი წლის იუბილეს და 55-წლიანი შრომითი საქმიანობის წარმატებით გაგრძელებას ვუსურვებთ. მარეხ სიმხარამი თბილისის №86 საჯარო სკოლის დირექტორის მოადგილე, დინა კოპაძე ამავე სკოლის ისტ მასწავლებელი

ინფორმაცია

„დიოგენე“ ახალგორელი მოსწავლეები წიგნებით დაასარაჯეს



9 ნოემბერს ეროვნულმა ბიბლიოთეკამ ახალგორელ სკოლის მოსწავლეებს უმასპინძლა. ბიბლიოთეკის ბავშვთა ოთახში კონფლიქტის ზონიდან ჩამოსული სტუმრებისთვის სპეციალური პროგრამა მოამზადა. მოსწავლეებს ექსკურსია ჩატარდათ, მათ ეროვნული ბიბლიოთეკის დარბაზები დაათვალიერეს, მომსახურების წესებს გაეცნენ და ბიბლიოთეკის ფონდების შესახებ მიიღეს ინფორმაცია. ბავშვთა ოთახში ახალგორელ მოსწავლეებს მწერალი დათო ტურაშვილი შეხვდა. გამომცემლობა „დიოგენე“ და ორგანიზაცია „ქალთა ასოციაციის“ წარმომადგენლებმა მათ საჩუქრები გადასცეს. მხატვარმა ზაალ სულაკაურმა კი ხატვის გაკვეთილები ჩატარა. მოგვიანებით, ეროვნული ბიბლიოთეკის აუდიტორიაში ფილმის ჩვენება გაიმართა.

შემოდგომის ზეიმი



მიმდინარე წლის 25 ოქტომბერს, ახალციხის №5 საჯარო სკოლაში, უჩვეულო ფუსფუსი შეიმჩნეოდა. პირველკლასელები აწყობდნენ შემოდგომის ზეიმს, მონაწილეობდა ყველა პირველკლასელი (დამრიგებლები: მზია კაველიძე; მედეა მერაბიშვილი; სათუნა ბალახაშვილი; ნინო ოქრომელიძე და ნინო გელაშვილი). საზეიმოდ მორთულ დარბაზში გამოფენილი იყო შემოდგომის ხეები და ბარაქა, სახელდახელოდ მოწყობილ პატარა სანახელებში დაინურა ყურძენი, ამოიგლო ჩურჩხელები და სხვ. პატარებმა წარმოადგინეს მონტაჟი, ინსცენირებები, შეასრულეს სიმღერები შემოდგომაზე, იცეკვეს და იმზიარულეს. ლონისძიებას ესწრებოდნენ პედაგოგები, დირექციის წარმომდგენლები და სტუმრები. სიტყვით გამოვიდა სკოლის დირექტორი, ქალბატონი ჟენია მერაბიშვილი, რომელმაც შემოდგომის ხეები და ბარაქა დაულოცა საქართველოს, პატარებს წარმატებები უსურვა სწავლაში. ლონისძიება ახალციხის ადგილობრივმა ტელევიზიამ გააშუქა.

მზია კაველიძე პირველი კლასის დამრიგებელი

იურისტის კონსულტაცია

პეპრჯიარ დანისვა კითხვა, თუ რამდენი საათის ჩატარების უფლება აქვს სასწავლო ნაწილის გაგება. ამჟამად ამაზე პასუხი ცალსახად არ არსებობს (თუშეცა ტრადიციულად 9 საათი იყო მისი განაკვეთი). ვარდირაქტორის მოადგილე სასწავლო-აღმზრდელი-გით დარბი და, ამავე დროს, განსაზღვრილ ქართულ ენასა და ლიტერატურას. მაქვს 10 საათი. განათლებასა და მეცნიერების მიწისტრის ბრძანების საფუძველზე, თუ სერტიფიცირებულ მასწავლებელს არა აქვს მასწავლებლის (18 საათი) დატვირთვა, მას სერტიფიცირების დანამატი არ ექვება. ეს-ის მიხედვით ქართულ ენასა და ლიტერატურაში საათები ისეა განაწილებული, რომ დატვირთვის შემთხვევაში ან 21 საათი უნდა მიქონდეს, ან 20, რასაც ისედაც მითად სპასუსისგამალო მოვალოებასთან ერთად, ცხადია, ვერ შევძლებ. უნარსული ამაზე საუბარი, მარბამ თავს დაჩაბრულად ვბრძანებ. ვფიქრობ ყველა სკოლის ინტერესებში უნდა შედიოდეს, სასწავლო ნაწილის გაგება (მასწავლებელთა მასწავლებელი) იყო სერტიფიცირებული და მას ჰქონდეს შესაბამისი მათემატიკური ანაზღაურება.

ბათსოვით, განვიმარტოთ, უნდა არსებობდეს თუ არა გამონაკლისი ასეთ შემთხვევაში? (იქნებ ფიქრობთ, რომ სასწავლო ნაწილს ისეთი ანაზღაურება აქვს, 75 ლარი ზედმეტი მისთვის? ჩემი ხელფასია 355+185=540 ლარი).

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №576 ბრძანების ინსტრუქციის თანახმად, სკოლის დირექტორს, სკოლის დირექტორის მოადგილეს და ბუღალტერს, რომელიც არის სერტიფიცირებული პედაგოგი და ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას, სერტიფიცირებული პედაგოგის დანამატი (75 ლარი) მიეცემა იმ შემთხვევაში, თუ მას ექნება სრული ან სრულზე მეტი დატვირთვა. სასწავლო ნაწილის გამგეზე ვრცელდება ყველა ის პირობა, რომელიც 75-ლარიანი დანამატის მიღებისთვის არის საჭირო.

საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირი (სპმთპ) არ ეთანხმება №576 ბრძანების ინსტრუქციით დადგენილ 75-ლარიანი დანამატის მიღების პირობებს. პედაგოგთა პროფკავშირი თვლის, რომ სერტიფიცირებულ პედაგოგს 75-ლარიანი დანამატი უნდა მიეცეს სერტიფიცირებულობიდან გამომდინარე და არა საათობრივი დატვირთვის მიხედვით.

რა პრაქტიკულ რჩევებს აქვს საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის იურისტი პედაგოგებს

- 1. ხელმოწერაზე საფუძველიანად გააცანით სკოლის დირექტორსა და თქვენ შორის გასაფორმებული შრომითი ხელშეკრულების პირობებს. გასსოვდით, რომ ხელშეკრულებაზე ხელმოწერის შემდეგ, თქვენ, როგორც შრომითი ხელშეკრულების მხარე, პასუხისმგებელი ხართ სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულებაზე.
2. მოსთხოვეთ სკოლის დირექტორს თქვენთან გასაფორმებული შრომითი ხელშეკრულების სავალდებულო პირობების საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალ პროფკავშირთან (სპმთპ) შეთანხმება. სპმთპ შეაქვდა, ხელშეკრულებაში შეიტანოს ყველა ის პირობა, რომელიც ეფუძნება უზრუნველყოფს თქვენი უფლებების დაცვას.
3. სკოლის დირექტორსა და თქვენ შორის გასაფორმებული შრომითი ხელშეკრულების ხელმოწერაზე, გააცანით იგი სპმთპ-ს იურისტს და განიარაღეთ კონსულტაცია მასთან.
4. სკოლის დირექტორსა და თქვენ შორის გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი გამოართვით დირექციას.
5. თქვენს კოლეგა პედაგოგებთან ერთად აქტიური მონაწილეობა მიიღეთ სკოლის შინაგანაწესის შემუშავებაში, შეიტანეთ მასში ყველა ის დებულება, რომელიც ეფუძნება უზრუნველყოფს თქვენი უფლებების დაცვას. გასსოვდით, რომ სკოლის შინაგანაწესი თქვენი შრომითი ხელშეკრულების ნაწილია და გავალდებავთ მისი დაცვა.
6. თქვენთან დაკავშირებით სკოლის დირექტორის მიერ გამოცემული ბრძანებების თითოეული გამოართვით დირექციას.
7. მოსთხოვეთ თქვენი სკოლის დირექციას, სისტემატურად ჩაბაყენოთ საქმის კურსში განათლების სფეროში მიმდინარე სინახლეებთან დაკავშირებით.
8. გუდმეგად ჩაბაყენეთ საქმის კურსში სპმთპ თქვენი დარღვეული უფლებების თაობაზე. გასსოვდით, რომ ჩვენი ორგანიზაცია ყოველთვის მზად არის, გაგიწიოთ სამართლებრივი დახმარება თქვენი დარღვეული უფლებების აღსადგინად.

თამარ ავალიანი საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის იურისტი

სპორტი

ევროპულ-ამერიკული ფინალი თბილისში

ჩვენი გაზეთის მკითხველს იქნებ ახსოვს შარშან თბილისში გამართული ერთი საინტერესო შეჯიბრება მინი-ფეხბურთში, რომელშიც მხოლოდ კერძო სკოლები მონაწილეობდნენ. როცა ამის მიზეზით დავინტერესდით, ორგანიზატორებმა გვიპასუხეს, რომ მათაც ანალოგიური ტიპის სკოლები ჰქონდათ დამთავრებული, სადაც სპორტული შეჯიბრების ნაკლებობას განიცდიდნენ და იმ ღონისძიებით კერძო სკოლების მოსწავლეებისთვის ამ ხარვეზის თუნდაც ნაწილობრივ შევსება სურდათ. ამ უქმეებზე ასეთივე შეჯიბრებას, ანუ ისევე მინი-ფეხბურთში და ისევე კერძო სკოლებს შორის, თბილისის 167-ე საჯარო სკოლის ხელოვნურსაფარიანმა საფეხბურთო მოედანმა უმასპინძლა, რომლის ორგანიზატორადაც ამჯერად „news school“ მოგვევლინა. მოგვხსენებთ, ამავე სკოლის ბაზებს იყენებს „გიორგი ნემსაძის საფეხბურთო სკოლა“, რომელიც ბავშვთა ფეხბურთის ერთ-ერთი თვალსაჩინო ცენტრია დღევანდელ საქართველოში, ანუ ამ ღონისძიების მონაწილეებს იქ მშვენიერი მოედანი დახვდათ, ტურნირში კი 7 სკოლის გუნდი გამოდიოდა. თუმცა, სამწუხაროდ, მონაწილეებს ამინდმა არ გაუმართლა – შაბათ-კვირას წვიმდა. თუმცა, სადაც ბავშვები, იქ ყოველთვის ამაღლებული განწყობილებითაა, ამინდის მიუხედავად, და გამონაკლისი არც ეს შეჯიბრება გამოდგა, საზეიმო განწყობა და სიხალისე, ტურნირისთვის დამახასიათებელი დაძაბულობით, თან სდევდა ამ ორ დღეს, წვიმამ მას ვერაფერი დააკლო. ამ სახალისო და საინტერესო ტურნირის მშვენიერ ფინალი გამოდგა, რომელმაც დრამატიზმით ყველა მოლოდინს გადააჭარბა – ჩემპიონი პენალტების სერიაში გამოავლინა, თუმცა

იქაც დამატებითი დარტყმები გახდა საჭირო, მანამდე კი დამატებითი ტაიმიც იყო. ოღონდ ამ ყველაფერს წინ ორი საკმაოდ დაძაბული და არცთუ ურიგოდ საყურებელი ტაიმი უსწრებდა. ფინალში ერთმანეთს ევროპული სკოლისა და გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკული სკოლის გუნდები ხვდებოდნენ. ამ შეხვედრისადმი ინტერესს ისიც აძლიერებდა, რომ ნახევარფინალში „ევროპელებმა“ „ამერიკელთა“ მეორე გუნდს სძლიეს. ფინალურ მატჩს ამინდმაც პატივი სცა და შეხვედრის მიმდინარეობისას არ უწვიმია. თამაშიც დაძაბული გამოდგა, რაც ბავშვთა ტურნირებს, ზოგადად, ახასიათებს – თავის წარმონიქს თუ ჯინის მოკვლას ყველა ორმაგად ცდილობს. როგორ გამოსდით, ეს სხვა საკითხია, მაგრამ მოედანზე ბოლომდე კი იხარჯებოდა. ამჯერადაც ასე იყო და თითქოს მცირე ტერიტორიულ უპირატესობას „ევროპელები“ ფლობდნენ, მაგრამ თამაში უფრო მწვავე მომენტები „ამერიკელებმა“ შექმნეს – მათ 2-3-ჯერ შორიდან ძალზე მწვავედ დაარტყეს და ერთხელ ძელსაც გაარტყეს, დანარჩენ შემთხვევებში კი, მეკარე ლაშა ფალიანი დადგა მონოდების სიმალეზე. ეს მეკარე ცალკე საუბრის თემაა, თუმცა ხელებდაკრეფილი არც მისი თანაგუნდელები იდგნენ. მათაც შექმნეს რამდენიმე სახიფათო მომენტი და კარშიც დაარტყეს, გოლის გატანის შანსი მათაც ჰქონდათ, მაგრამ „ამერიკელთა“ ზემოაღნიშნული მომენტები უფრო მწვავე იყო. თამაშის მიმდინარეობისას უფრო ისეთი სურათი გამოიკვეთა, რომ უფრო შემთხვევითი გოლი თუ გავიდოდა, რადგან მეკარეებიც კარგად თამაშობდნენ და ორივე გუნდის დაცვის ხაზიც, დაახლოებით, თანაბრად ირ-



ჯებოდა. თან შეხვედრის ბოლოსკენ ბიჭებს ცოტა დაღლაც დაეტყობო... ამ ყველაფრის მიუხედავად, ძირითად დროში ბურთმა კარში შეესვლა არ ისურვა და დამატებითი ტაიმი დაინიშნა. შეხვედრის სურათი დიდად არც იქ შეცვლილა იმის მიუხედავად, რომ გოლის გატანის უნარი კვლავაც დიდი იყო. ვერ ვიტყვით, რომ საგოლე მომენტები არ ყოფილა, მაგრამ არც იმდენად რეალური, რომ ფრე უსამართლო შედეგად მივიჩნიოთ. პენალტების სერიაში ზემოხსენებულმა ფალიანმა „ამერიკელთა“ პირველივე დარტყმა მოიგერია და თავისიანებს ჩინებული ფსიქოლოგიური განწყობა შეუქმნა. „ევროპელები“ ლამის წინასწარ ზეიმობდნენ გამარჯვებას, მაგრამ რა იცოდნენ, წინ ჯერ კიდევ რამდენი ნერვიულობა ელოდათ! ასეთ შემთხვევაში დამარტყმელის განწყობასაც ძალიან დი-

დი მნიშვნელობა აქვს, რადგან თუ ვერ გაიტან, მოპოვებულ ფსიქოლოგიურ უპირატესობას მყისვე მეტოქეს აბარებ. არადა, გოლს გატანა უნდა, პენალტების სერია კი ნერვიუბის დაძაბული თამაშია. „ევროპელებსაც“ ასე დაემართათ – პირველივე დარტყმა გააფუჭეს და ამის შემდეგ საპენალტო სერია ნამდვილ თრილერად იქცა – დარჩენილი ორ-ორი დარტყმიდან მეკარეები თითოჯერ აღმოჩნდნენ მონოდების სიმალეზე, ოღონდ – სერიებში მონაცვლეობით და შეხვედრაც 1:1 დასრულდა. ამის შემდეგ დაინიშნა დამატებითი სერია. პირველში ისევ მეკარეებმა იყოჩაღეს და ანგარიში უცვლელი დარჩა, მეორეში კი „ამერიკელებმა“ ააცილეს, „ევროპელებმა“ კი ასეთი ჩინებული შანსი ბოლომდე შეირგეს და გამარჯვების მომტანი გოლი გაიტანეს. ტურნირის გამორჩეულ მოთამაშეებს საჩუქრად ბურთები და სიგელები გადაეცათ.

მსოფლიო ფრენბურთის მმართველი ორგანოს კომისიის სხდომა



შვეიცარიის ქალაქ ლოზანაში, სადაც განლაგებულია FIVB-ს (ფრენბურთის საერთაშორისო ფედერაცია) ოფისი, გაიმართა პლასის ფრენბურთის კომისიის სხდომა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო საქართველოს ფრენბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ლევან ახვლედიანმა. „ეს გახლდათ პირველი შეკრება. სხდომაზე მიღებულ იქნა ბევრი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება. საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს მივმართეთ წინადადებით, რომ წყვილთა რაოდენობა ოლიმპიურ თამაშებზე 24-დან გაიზარდოს 32-მდე. ამავე დროს, ვიმსჯელებთ, თუ რა ფორმული უნდა ხდებოდეს ოლიმპიური თამაშების ლიცენზიის მოპოვება. დიდი ყურადღება დაეთმო 2013-2014 წლებში ჩასატარებელი ტურნირების კალენდარს. 2013 წლიდან ერთმანეთისგან გაიმიჯნება გრანდ სლემისა და ოფენ ტურნირები, ანუ მსოფლიოს საუკეთესო წყვილები მხოლოდ გრანდ სლემის ტურნირებზე ითამაშებენ. დეტალურად გავიარეთ ოლიმპიური თამაშებისათვის მზადების პროცესი და შესაბამისი მითითებები მივეცით „რიო 2016 წლის“ ორგანიზატორებს. ჩვენი რჩევის საფუძველზე, შეიცვალა დროებითი მოედნის კონსტრუქცია და გადაწყდა, რომ ოლიმპიურ თამაშებს, 2016 წელს, ცნობილი პლაჟი კოპაკაბანა უმასპინძლებს. 2014 წლის ახალგაზრდული ოლიმპიური თამაშები ჩინეთში ჩატარდება, სადაც პირველად შეტანილი პლაჟის ფრენბურთი და მე დამეჯალა ამ ტურნირის მზადებაში აქტიური მონაწილეობა. სხდომას ესწრებოდა FIVB-ს ახლად არჩეული პრეზიდენტი, ბრაზილიელი არი გრასა. მან აღნიშნა, რომ ლონდონის ოლიმპიურ თამაშებზე სპორტის ეს სახეობა გამორჩეულად წარმატებული გამოდგა. 15 000-იანი მოედანი, რომელიც ლონდონის შუაგულში, დაუნივრე სტრიტის გვერდით იქნა საგანგებოდ აგებული, მაყურებელით სავსე იყო და ბილეთები თამაშებამდე დიდი ხნით ადრე გაიყიდა. კომისიის რამდენიმე წევრს, მათ შორის მეც, მაღლობა გადაგვიხადა ოლიმპიური თამაშების მოსამზადებლად განეული მუშაობისათვის.“ – განაცხადა ლევან ახვლედიანმა საქართველოს ფრენბურთის ფედერაცია


პირველკურსელთა ჩემპიონატი



თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში, სტუდენტური თვითმმართველობის ეგიდით, პირველკურსელთათვის გაიმართა შიდა ტურნირი მინი-ფეხბურთში. ტურნირის ორგანიზატორი იყო პირველი კურსის სტუდენტი ნიკა ყაჭიშვილი. მონაწილე თორმეტი გუნდი ორ ქვეჯგუფად დაიყო, თითოეულში – 6-6 გუნდი. ასპარეზობა წრიული სისტემით ჩატარდა. ქვეჯგუფებიდან ნახევარფინალში საუკეთესო ორ-ორი გუნდი გავიდა. ფინალურ შეხვედრაზე ერთმანეთს დაუპირისპირდნენ მედიცინის ფაკულტეტის გუნდი „ჰადესი“ და ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის გუნდი „Tbilisi City“. თამაში დასრულდა „Tbilisi City“-ს გამარჯვებით – 7:5. გამოვლინდნენ სხვადასხვა ნომინაციებში გამარჯვებულები: „საუკეთესო ფეხბურთელი“ – ვანო გულიტაშვილი (ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტი); „საუკეთესო ბომბარდირი“ (27 ბურთი) – ჯუბა ავალიშვილი (მედიცინის ფაკულტეტი); „საუკეთესო მცველი“ – დავით

და რეაბილიტაციის ფაკულტეტი). შერჩა პირველკურსელთა ნაკრები გუნდი, რომლის წევრებიც შეეცდებიან, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ნაკრებ გუნდში დაიმკვიდრონ ადგილი. საპრიზო ადგილებზე გასულ გუნდებს თასები და სიგელები გადაეცათ. მაღლობა დაიმსახურა თითოეულმა მონაწილე სტუდენტმა, ასევე, საორგანიზაციო საკითხების მოგვარებაში განუხლები დახმარებისათვის – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის პირველი კურსის სტუდენტმა, ორგანიზატორმა ნიკა ყაჭიშვილმა; სამედიცინო უნივერსიტეტის სპორტისა და ხელოვნების ცენტრის დირექტორმა ზაურ ფხალაძემ; ამავე ცენტრის თანამშრომელმა, სამედიცინო უნივერსიტეტის საფეხბურთო ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ვახტანგ ბაქანიძემ. ტურნირის სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები ესწრებოდნენ. რუბრიკას უძღვება ირაკლი თამაძე

სიასლა!



კლასიკური შოეზია



სამი ტომის ფასი 21 ლარი

თემატური პლაკატები დაწყებითი კლასებისთვის

ფორმატი A2 (42x59.4 სმ)

1. ძართული ანბანი
2. წელიწადის დროები: შემოდგომა-ზამთარი
3. წელიწადის დროები: გაზაფხული-ზაფხული
4. ფერები
5. ფორმები
6. გარეული ცხოველები
7. გარეული ფრინველები
8. პოეზიები
9. რიცხვები
10. სილ-პოსტნაული
11. შინაური ცხოველები
12. ტანსაცმელი
13. ჰიგიენის ნივთები
14. საოჯახო ნივთები
15. ტრანსპორტი
16. წყლის ბინადრები
17. ინგლისური ანბანი
18. რუსული ანბანი
19. ჩემი საძარტველო

ერთი ცალის ფასი 2.5 ლარი

თემატური პლაკატები მაღალი კლასებისთვის

ფორმატი A1 (59.4x84.1 სმ)

1. რელიგიის წარმოდგენა
2. გარეული ფრინველები საძარტველოში
3. გარეული ცხოველები საძარტველოში
4. მწერები
5. ძართული ხალხური საძარტველო
6. ძველწარმადებები საძარტველოში
7. საძარტველო მცენარეები
8. ადამიანის აგებულება
9. რეპტილიები და დინოზავრები
10. ნიღბი - სიტყვის წყარო
11. კვლევი რევი
12. მსოფლიოს დროები
13. ზღვის დინამიკა
14. ძირითადი ელემენტების პერიოდული სისტემა
15. საფხაროს წარმოდგენა
16. ძარტველი მემორის შვიარაღება და საბრძოლო ტექნიკა
17. მსოფლიოს შვიდი სოცრება

ერთი ცალის ფასი 3 ლარი

ქართული ლიტერატურის კაბინეტისთვის მწერალთა პორტრეტები (34x47 სმ)

- | | | |
|--------------------------|-----------------------------|------------------------|
| 1. მიხეილ ჯავახიშვილი | 10. იოსებ გრიშავილი | 19. აკაკი წერეთელი |
| 2. გიორგი ლეონიძე | 11. პულიკარაძე კაკაბაძე | 20. რუსთაველი |
| 3. ირაკლი აბაშიძე | 12. გურამ რჩულიანი | 21. ვაჟა-ფშაველა |
| 4. ნოდარ დუმბაძე | 13. იაკოვ ხუციანი | 22. თეიმურაზ I |
| 5. მირზა გელაშვილი | 14. ივანე სებასტიანი | 23. ვახტანგ VI |
| 6. აკაკი ბაქრაძე | 15. დავით გურამიანი | 24. გიორგი მერაბული |
| 7. ვასილ ბარნოვი | 16. გენიკი | 25. გრიგოლ ორბელიანი |
| 8. პაულუ იაშვილი | 17. რევაზ ინანიანი | 26. დავით აღმაშენებელი |
| 9. სულხან-საბა ორბელიანი | 18. ალექსანდრე შავჭავჭავაძე | 27. გურამ ანათიანი |

ერთი ცალის ფასი 4 ლარი

რეკროდუქციები ხელოვნების კაბინეტისთვის

- | | |
|--|--|
| 1. ცისფერი ბალერინები - დედა | 7. დელფოსელი სიბილა - მიძლანაველი |
| 2. ჰორაციუსის ფიცი - შაკ-ლუი დავიდი | 8. მხატვრის ბაღი - კლოდ მონე |
| 3. მხედასთა თაყვანისცემა - დომენიკო გირლანდაიო | 9. უძლები შვილის დაბრუნება - რემბრანდი |
| 4. ადელ ბლონ-ბაუერის პორტრეტი - გუსტავ კლიმტი | 10. საძანა - რენუარი |
| 5. ავტოპორტრეტი - რემბრანდტ ჰარმენს ვან რინი | 11. საპირაო გასიინება, გრან-შატის კუნაულა - შორე სიორა |
| 6. მინიები - ველასკესი | |

ერთი ცალის ფასი 6.5 ლარი

მიმდინარეობს ხელმოწერა. შემოგვიერთდით!



„მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსები“

თითო ტომის ფასი - 12 ლარი

- უ. სომერსეტ მოემი - ჭრელი საბურველი **ახალი**
- ჯონ ბრაინი - გზა ელიტისაკენ **ახალი**
- ჯეკ ლონდონი - დიდი სახლის პატარა დიასახლისი **ახალი**
- გუსტავ ფლოპერი - მადამ გოვარი
- ონორე დე ბალზაკი - მამა გორიო
- ვიქტორ ჰიუგო - პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი
- ემილ ზოლა - ქალთა გადნობა
- ალექსანდრე დიუმა - კავკასია
- ფიოდორ დოსტოევსკი - მკვდარი სახლის ჩანაწერები

- ჰენრი რაილერ ჰაგარდი - მონტესუმას ასული
- სტენდალი - წითელი და შავი
- ლევ ტოლსტოი - კავკასიური მოთხრობები
- ჯონათან სვიფტი - გულივერის მოგზაურობა
- ერის მარია რემარკი - სამი მეგობარი
- შოლერო დე ლაკლო - სახიფათო კავშირები
- ალექსანდრე პუშკინი - მოთხრობები
- შტაფან ცვაიგი - მოუთმენლობა გულისა
- მაინ რიდი - კვარტალონი


გამოცემლობა „დიოგენეა“ და გაზეთ „ახალი განათლება“ სპეციალური პროექტი




კომენტარული ტექსტი და ანალიტიკური გზამკვლევი თამაზ ვასაძე
~~11 ლარი~~
9 ლარი




„ქართული ენის სასკოლო განმარტებითი ლექსიკონი“
თამარ ბეროზაშვილი
10 ლარი




საყვანილო ენციკლოპედია „სპორტი“
~~10 ლარი~~
4.90 ლარი



საყვანილო ენციკლოპედია „მუსიკა“
~~17 ლარი~~
14.90 ლარი



მსოფლიოს ისტორიის ენციკლოპედია
~~45 ლარი~~
35 ლარი




საბავშვო ცხოველთა ენციკლოპედია
~~36 ლარი~~
26 ლარი




ხელოვნების ილუსტრირებული ისტორია
~~40 ლარი~~
30 ლარი



ილია ჭავჭავაძე, ორთოგრაფი
16 ლარი



საქართველოს ისტორიული ატლასი
5.70 ლარი



„რა არის რა“ 50-ტომიანი კრებული
ერთი ტომის ფასი ნაცვლად 11 ლარისა
9 ლარი

- ❖ მსოფლიოს 7 საოცრება
- ❖ ავტომობილი
- ❖ ამინდი
- ❖ დიდი აღმოჩენები
- ❖ სალსთა დიდი გადასახლება
- ❖ გამომგონებები
- ❖ განძის ძიება
- ❖ გლადიატორები
- ❖ ჩვენი დედამიწა
- ❖ დრო და კალენდარი
- ❖ ძველი ეგვიპტე
- ❖ ევროპა
- ❖ ვიკინგები

- ❖ კოშკები
- ❖ კრიმინალისტიკა
- ❖ მათემატიკა
- ❖ მეცნიერებები
- ❖ მსოფლიოს რელიგიები
- ❖ ძველი რომი
- ❖ ძველი საბერძნეთი
- ❖ საშურაი
- ❖ უდაბნო
- ❖ უკველესი ადამიანები
- ❖ ახსნილი და აუხსნელი ფენომენები
- ❖ ფიზიკა
- ❖ ჩაპირული ქალაქები

ქართული მწერლები

- ❖ ვაჟა-ფშაველა (10-ტომიანი), I-V ტომი, - 11 ლარი
- ❖ ალექსანდრე ყაზვბეგი (2-ტომიანი), I-II ტომი, - 11 ლარი
- ❖ მიხეილ ჯავახიშვილი (7-ტომიანი), I-VII ტომი - 11 ლარი
- ❖ ლევან გოთუა (7-ტომიანი), I-II ტომი - 16 ლარი
- ❖ ედიშერ ყიფიანი (2-ტომიანი), I-II ტომი - 15 ლარი
- ❖ კონსტანტინე გამსახურდია (10-ტომიანი), I, VI, VII, VIII ტომი - 16 ლარი, IV-V ტომი - 18 ლარი
- ❖ რევაზ ინანიშვილი (6-ტომიანი), I-VI ტომი - 12 ლარი
- ❖ ვახტანგ ჭელიძე (9-ტომიანი), I-VI ტომი - 12 ლარი
- ❖ გრიგოლ აბაშიძე (6-ტომიანი), I-IV ტომი - 12 ლარი
- ❖ ოტია იოსელიანი (10-ტომიანი), I-X ტომი - 12 ლარი
- ❖ თამაზ ჭილაძე (6-ტომიანი), I-VI ტომი - 10 ლარი
- ❖ გოდერძი ჩოხელი (5-ტომიანი), I-V ტომი - 13 ლარი

ხელმოწერის თანხა გადმორიცხეთ რეკვიზიტებზე:
მიმღები - შპს „ახალი განათლება“, ს/კ 202058735
ა/ა GE93LB0113314052305000, ს/ს „ლიბერთი ბანკი“, ბ/კ LBRTGE22
შესაძლებელია ინდივიდუალური ხელმოწერები!



მთავარი რედაქტორი: მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: 0102 თბილისი, ტაბაღაშვილის ქ. №3
ტელ.: 032 295 80 23, 0790 958023, 577 132283.
www.axaliganatleba.ge

E-mail: axaliganatleba@gmail.com Skype: axali.ganatleba

რედაქციის საბანკო რეკვიზიტები: შპს „ახალი განათლება“ ს/კ 202058735
ა/ა GE86BG000000123631000GEL, ს.ს. „საქართველოს ბანკი“ ბ/კ BAGAGE22,

რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.

ISSN 2233-386X



9 772233 386008 >